ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 212 (491) ოთხშაბათი 14 ოქტომბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხარს უჭერს როგორც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ასევე ბატონ ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის

მხარდაჭერისა და მადლობის წერილები ამერიკიდან

ძვირფასო ედუარდ,

მინდა იცოდეთ, რაოდენ განვიცდი ძალადობის ესკალაციას აფხაზეთში, რომელიც მიმდინარეობდა ამ ბოლო დროს, და რომელმაც დიდი ტანჯვა მიაყენა ქართველ ხალხს. ეს მოვლენები ორმაგად შემაშფოთებელია იმ დროს, როდესაც თქვენ არჩევნებისათვის ემზადებით და ასე გაბედულად ცდილობთ დემოკრატიის აშენებას საქართველოში. გარდა იმისა, რომ ყოველივე ეს უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას ემუქრება, მე მაღელვებს თქვენი პირადი უსაფრთხოება. შემაძრწუნა თქვენს შვეულმფრენზე თავდასხმის ამბავმა და დავწყნარდი, რომ არ დაშავდით.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ძლიერად უჭერს მხარს როგორც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ასევე თქვენს ძალისხმევას აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. მე მესმის, რომ შინაგანი დაწოლის და გარეშე ძალების ჩარევის ფონზე უფრო გიძნელდებათ მოლაპარაკების საშუალებით კონფლიქტის მოწესრიგება. და მაინც მწამს, რომ ძალზე მნიშვნელოვანია განაგრძოთ მოქმედება ამგვარი მიდგომის საფუძველზე, რადგან სამხედრო გადაწყვეტის მცდელობა საბოლოო წარმატებას ვერ მოიტანს.

ამავე დროს მე ვატყობინებ პრეზიდენტ ელცინს ჩემს წუხილს ჩრდილო-კავკასიელ მოხალისეთა მოქმედების და რუსეთის მიერ აფხაზთა ძალებისადმი შესაძლო სამხედრო დახმარების თაობაზე და ვთხოვ რუსეთის მთავრობას თავი შეიკავოს ცალმხრივი სამხედრო ჩარევისაგან ამ არეალში და შეზღუდოს ცალკეულ პირთა აქტიურობა და მოძრაობა საზღვარზე. ჩვენც ვნახეთ ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ აფხაზები იძენენ სამხედრო ტექნიკას რუსეთიდან და რუსი სამხედრო ოფიცრები კოორდინაციას უწევენ მათ საბრძოლო მოქმედებებს. თუმცა ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ დაქირავებულთა და მოხალისეთა მოქმედების შესაძლებლობას.

ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, რაგინდ ფრაგმენტულიც უნდა იყოს, არ ადასტურებს რუსეთის შეგნებულ სამხედრო დახმარებას აფხაზეთისადმი.

დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი ელცინი ყველაფერს იღონებს, რათა 18 ოქტომბრის შეხვედრა დამთავრდეს კონსტრუქციული ზომების მიღებით, რომელთა მიზანი იქნება 3 სექტემბრის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების რეალიზაცია. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ყველაფერს გააკეთებთ, რათა შევამციროთ დაძაბულობა საქართველოსა და რუსეთს შორის, და ერთობლივად მიაღწიოთ ამ კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას.

რაც შეეხება დაძაბულობის შემცირებას, მე მიმაჩნია, რომ დაპირისპირება რუსებთან ყოფილი საბჭოთა სამხედრო ტექნიკის საკუთრებაში აღებასთან დაკავშირებით საფრთხეს შეუქმნის თქვენს ძალისხმევას ხაზინაო კონფლიქტის მოგვარების და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისკენ წინსვლის საქმეში. ნათელია, რომ საქართველოს ცალმხრივი მოქმედება ამ პრობლემასთან დაკავშირებით მხოლოდ გაართულებს დამოკიდებულებას ორ მთავრობას შორის და შეაფერხებს აფხაზეთში მოწესრიგების პროცესს. მე, რასაკვირველია, ვიმედოვნებ, რომ საქართველოს მთავრობა თავს შეიკავებს ამგვარი სახიფათო ნაბიჯებისგან. ამავე დროს, ვიზიარებ თქვენს რწმენას იმის თაობაზე, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები კანონიერად შეიძლება დარჩნენ საქართველოში მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობის საფუძველზე, ორი ქვეყნის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად. ჩვენ მხარს ვუჭერთ მოლაპარაკებებს საქართველოს და რუსეთის მთავრობებს შორის ამ ძალზე მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად.

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ მომავალ არჩევნებში და აფხაზეთთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში; როგორც არაერთხელ განვაცხადეთ, ჩვენ მხარს ვუჭერთ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ყოველგვარ მცდელობას და მივესალმებით როგორც თქვენს მომავალ მოლაპარაკებებს, ასევე გაეროსა და ევროთათბირის მისიების პერსპექტივებს, რომელთა მიზანია გარკვეული წვლილის შეტანა თქვენს ძალისხმევაში მშვიდობის მიღწევის საქმეში.

პატივისცემით,

ჯორჯ ბუში.

ძვირფასო ედუარდ,

დიდი მადლობა იმ თბილი წერილისათვის, რომელიც გამომიგზავნეთ ჩემი პრეზიდენტის მთავარ მრჩევლად და თეთრი სახლის ადმინისტრაციის უფროსად დანიშვნასთან დაკავშირებით.

ჩემთვის უაღრესად დიდი პატივი იყო, რომ განვლილი სამ წელიწადნახევრის მანძილზე სახელმწიფო მდივნის პოსტზე ვემსახურე ჩემს ქვეყანას. ჩვენ გამოვიარეთ ისტორიის ქარცეცხლი — მსოფლიოში რევოლუციური ცვლილების პერიოდი, რომელიც ხასიათდებოდა არნახული სიძნელეებითა და შესაძლებლობებით.

ჩემთვის ასევე დიდი პატივი იყო, რომ ამ სიძნელეების გადალახვისას სწორედ თქვენ იყავით ჩემი კოლეგა.

დიდი მადლობა კეთილი სურვილებისა და თქვენი მეგობრობისთვის.

გულწრფელად

ჯეიმს ა. ბეიკერი,

III ადმინისტრაციის უფროსი, პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციის მაღალი რანგის დელეგაციის წევრებმა გადასცეს თავიანთი მთავრობის წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ძალზე შეშფოთებულია აფხაზეთში საომარ მოქმედებათა ესკალაციასთან დაკავშირებით. ჩვენ ვგმობთ საქართველოს ფარგლებს გარედან შემოჭრილ შეიარაღებულ მოხალისეთა მოქმედებას, ვერ დავეთანხმებით მშვიდობიანი მოსახლეობის ძალადობისა და ტერორის ვერავითარ გამოვლინებას.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პრინციპები კრძალავენ საზღვრების ძალისმიერ შეცვლას. ჩვენ არ ვცნობთ ძალმომრეობის მეთოდებს, რომლებიც პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება, ჩვენი სიმპათიები სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ე. შევარდნაძის მხარეზეა. მისი პიროვნების ხელშეუხებლობის ხელყოფის ყოველგვარი გამოვლინება შეუძლებელს გახდის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, რომლის სავალალო შედეგები თავად მოძალადეებს მიუბრუნდებათ.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ყოველგვარ მცდელობას, რომელიც ხელს შეუწყობს აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, მხოლოდ მტრული დაპირისპირების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ადგილობრივი ეროვნული უმცირესობის უფლებათა გათვალისწინება და 3 სექტემბრის ხელშეკრულების განუხრელი შესრულება გახდის შესაძლებელს, თავიდან იქნეს აცილებული უფრო მძიმე შედეგები საქართველოსა და კავკასიისათვის“.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება

თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს შექმნის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში შექმნილია ურთულესი მდგომარეობა, საფრთხე შეექმნა ქვეყნის ტერიტორიულ და სახელმწიფოებრივ მთლიანობას, სახელმწიფო საბჭომ თავმჯდომარის წინადადებით მიზანშეწონილად ჩათვალა შეიქმნას თავდაცვის სახელმწიფო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ: თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე—პარლამენტის თავმჯდომარე; წევრები: პრემიერ-მინისტრი; თავდაცვის მინისტრი; შინაგან საქმეთა მინისტრი; საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი; საგარეო საქმეთა მინისტრი; რესპუბლიკის გენერალური პროკურორი; გენერალური შტაბის უფროსი.

გათვალისწინებულია თავდაცვის საბჭოსთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და კონსულტანტთა კომისია.

თავდაცვის სახელმწიფო საბჭო მიიღებს დადგენილებებს და ბრძანებებს, რომლებიც სავალდებულო იქნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განლაგებული ყველა დაწესებულებისათვის, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებისათვის, ყველა მოქალაქისათვის.

ამ ბრძანებებისა და დადგენილებების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული იქნება პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და კანონის წინაშე.

თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს დებულების შემუშავება დაევალა იუსტიციის სამინისტროს. ამ დებულებას დაამტკიცებს საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი.

ქართული კულტურა მართლაც უნდა გადავარჩინოთ!

ინტერვიუ

დავით მაღრაძე ოთხი თვეა, რაც საქართველოს კულტურის მინისტრია, ამ ახალგაზრდა კაცმა ცხოვრების საკმაოდ შინაარსიანი გზა განვლო. ქართველი საზოგადოებრიობა იცნობს მის ლიტერატურულ მოღვაწეობას — მისი ნაწერები ქვეყნდება 1975 წლიდან, არის ავტორი ლექსების სამი წიგნისა: „ლექსების კრებული“, „მარულა“, „შანდლის ახული“. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალების „ნიანგისა“ და „მნათობის“, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციებში. წლეულს დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ აირჩიეს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორად, მისი რედაქტორობით გამოცემულმა რამდენიმე ნომერმა საკმაოდ საინტერესო გადაწყვეტით მიიქცია მკითხველის ყურადღება. „ცისკრიდან“ მოვიდა დავით მაღრაძე კულტურის მინისტრად. იგი არის საქართველოს პენ-კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის წევრი, დაოჯახებულია, ჰყავს ორი ქალიშვილი, აღიზარდა ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის ელგუჯა მაღრაძის ოჯახში.

— დავით, ჩვენ ყველანი ვართ მოწმე, რა ჭირ-ვარამი [illegible] ბოლო ხანებში სამინისტრომ, რომელსაც ოთხი თვეა სათავეში უდგახართ. რამდენი დამცირება და შეურაცხყოფა ერგო მის მრავალისმომსწრე კოლექტივს, იმ სანიმუშო არაპროფესიონალიზმის გამო, რომელმაც ზოგიერთ აქაურ კაბინეტში დაისადგურა, მართლაც რომ სავალალოდ შეიქნა საქმე კულტურის თითქმის ყველა სფეროში, მაინც როგორი მდგომარეობა დაგხვდათ, რა მემკვიდრეობა მიიღეთ და რით დაიწყო თქვენი საქმიანობა?

— პირველ ყოვლისა, დამხვდა უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა და სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მოუქნელი სტრუქტურები, რომლებშიც ამ სახით ველარ წარსდგებიან სამომავლოდ, ზოგი მათგანი მოითხოვს ლიკვიდაციას, ზოგი — რეორგანიზაციას.

საერთოდ კი, ხელოვანს სრული თვითგამოხატვისათვის სჭირდება სახსრები, მორალური მხარდაჭერა და თავისუფლება ყოველგვარი თავსმოხვეული იდეოლოგიისაგან. მართალია, შინაგან თავისუფლებას, ხელოვანი ყოველგვარ რეჟიმში ინარჩუნებს, მაგრამ იდეოლოგიური მარწუხები გარკვეულწილად მაინც ზღუდავს, დღეს, მოგეხსენებათ, იდეოლოგიური წნეხი მოხსნილია და ჩვენი სტრუქტურების რეორგანიზაციაც ამით არის გამოწვეული. ჩვენი მიზანია ხელოვანმა აბსოლუტური თავისუფლება იგრძნოს. სამინისტროს კოლეგიამ შეიმუშავა თანამედროვე ეტაპზე სამინისტროს მოღვაწეობის კონცეფცია. კოლეგიაში 25 წევრია, ჩვენი აქცენტი [illegible], რომ ხელოვნების სახელოვან წარმომადგენლებთან ერთად შემდგომი თაობა უფრო ძალუმად ჩაერთოს კულტურის გადარჩენისა და განვითარების საქმეში. ამ ნიშნით შევადგინეთ სამინისტროს ახალი კოლეგია, სადაც ჯანსუღ კახიძესთან, რობერტ სტურუასთან, ელგუჯა ამაშუკელთან, ანზორ ერქომაიშვილთან, გურამ ფანჯიკიძესთან, გიზო ჟორდანიასთან, გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად წარმოდგენილი არის შემდგომი თაობაც: გია ბუღაძე, ლაშა თაბუკაშვილი, ოთარ შამათავა, ალექსანდრე ქანთარია, თამაზ ყურაშვილი, მაია კობახიძე. ამ დღეებში კონცეფცია მიღებულ იქნა კოლეგიაზე, რომელიც განუხილველად წარედგინება საპარლამენტო კულტურის კომისიას. ეს კონცეფცია გვჭირდება იმისათვის, რომ განისაზღვროს მუშაობის ძირითადი პრინციპები, სწორედ ამის მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს თავად სამინისტროს ახალი სტრუქტურა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება — საკონტრაქტო სისტემა სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში. კულტურის სამინისტრომ მართვა-კოორდინაცია უნდა გაუწიოს კულტურის სფეროს, ხელი შეუწყოს ხელოვანის თვითგამოხატვისა და შემოქმედების პროცესს. უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიღება, შემოქმედთა სოციალური დაცვა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების მხარდაჭერა. ამ მხრივ უკვე მივაღწიეთ იმას, რომ საბიუჯეტო სტატუსი მიენიჭა თბილისის მასშტაბით რესპუბლიკური დაქვემდებარების თეატრებსა და მუსიკალურ დაწესებულებებს, ჩვენ ახლა ვზრუნავთ სამისოდ, რომ პერიფერიის თეატრები და მუსიკალური დაწესებულებებიც საბიუჯეტო ორგანიზაციებად იქცნენ, ფინანსთა სამინისტროს და მთავრობის წინაშე უკვე წარვადგინეთ ჩვენეული ნუსხა, და მათი დახმარების დიდი იმედი გვაქვს. ჩვენი აზრით, ხელოვნება, დახმარების, დოტაციის გარეშე ვერ იარსებებს, ასეა ეს ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ხელოვნებისგან მატერიალურ მოგებას კი არ უნდა ველოდოთ, არამედ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ მის გარეშე ხალხი სიბნელისთვისაა განწირული, ადამიანის სულში უსასოობა დაისადგურებს.

— დავით, ზოგიერთი თვლის, რომ კულტურის სისტემაში თანამდებობაზე ნაკლებად უნდა ვენდოთ ხელოვნებიდან მოსულ ადამიანს, რომ დღეს უფრო სამეურნეო დარგის სპეციალისტებს უნდა მიენიჭოთ პრიორიტეტი?

— ჩვენის ღრმა რწმენით, ხელოვნების სფეროებში არსებულ სახელმწიფო შემოქმედებით ინსტიტუტებში აუცილებლად ხელოვნების წარმომადგენელი უნდა იყოს ხელმძღვანელი, რადგან მასზე უკეთ არავინ უწყის ხელოვანის ბედი და სატკივარი, შექმნილი აზრი, რომ ხელოვნების ხალხს ორგანიზატორული უნარი არა აქვს — არ არის მართალი, წარსულში და ახლაც ჩვენში ხელოვანთა შორის ბევრი შესანიშნავი, უნარიანი ხელმძღვანელის დასახელება შეიძლება.

— ზოგჯერ ასეთ განცხადებასაც გაიგონებთ — კულტურას ხელმძღვანელობა არ სჭირდება...

— ეს თითქოს ხელოვნის ინტერესებიდან გამომდინარეა, მაგრამ მაცდუნებელი აზრია და ხელოვნების საწინააღმდეგო. კი ბატონო, მოლბერტთან რომ დგას მხატვარი, მას მართლაც არ სჭირდება ხელმძღვანელობა, მაგრამ ხელმძღვანელობა სჭირდება იმას, რომ ამ მხატვარს ჰქონდეს ტილო, ფუნჯი, საღებავი, გარდა ამისა, ორგანიზება სჭირდება მის ნაღვაწს — გატანა გამოფენაზე, დაკავშირება უცხოეთის გალერეებთან, ერთი სიტყვით, ზრუნვა იმისათვის, რომ ხელოვანმა რაც შეიძლება ნაყოფიერად იმუშაოს თავის პროფესიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართული კულტურის მონაპოვარზე საერთოდ, რომლის მოვლას, შენახვასა და გადარჩენას უდიდესი ძალისხმევა სჭირდება.

— დავით, ქართული კულტურის უპირველესი ბალავერი ჩვენი მწერლობაა, შეუძლებელია კულტურაზე ჩამოვარდეს სიტყვა და არ ვახსენოთ ჩვენი დიდი ლიტერატურა, მით უმეტეს, რომ თქვენ ქართული მწერლობიდან მოდიხართ?

— ქართული მწერლობა ერის ინტერესების გამომხატველი იყო მარადჟამ მოყოლებული მეხუთე საუკუნიდან. და აი მაშინ, როცა რუსეთთან შეერთების შემდგომ 1811 წელს გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ეგზარქატს დაეკისრა ჩვენი ეკლესიის გაძღოლა, ცხადია, ბევრ ქართულ ეკლესიაში წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა უცხო ენაზე. ამით რუსეთის იმპერიის ზრახვა— ეროვნული თვითშეგნება წაშლილიყო ქართველში, წარმატებით ისხამდა ხორცს. როცა წირვა უცხო ენაზე მიდის, უკვე შეუძლებელია მრევლმა მონაწილეობა მიიღოს წირვაში. ეს იყო გაუგონარი არაქრისტიანული ნაბიჯი, თვითონ უფალი, როცა მოციქულებს გზავნიდა საქადაგებლად, მათ ქადაგების ნიჭთან ერთად უზენაესისაგან მიენიჭათ უცხო ენების ცოდნაც რათა იმავე ენით ექადაგათ, რომელ ქვეყანაშიც

(დასასრული იხ. 2 გვ.).

წუხელ შევიტყვეთ

მარცვლეული ამერიკიდან

ბათუმის საზღვაო ნავსადგურში შემოსულმა გემმა „კოუსტან მემეტმა“ ჩამოიტანა სასურსათო მარცვლეულის პირველი პარტია, რომელიც შედის საქართველოს სუვერენული რესპუბლიკისათვის ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული დახმარების ანგარიშში. იქიდან მიღებული ტელეფონოგრამის თანახმად, რომლის ტექსტი გაგვაცნო საქართველოს პურპროდუქტების რესპუბლიკური გაერთიანების მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსმა ვალიკო ლომიტაშვილმა, გემში 28,5 ათასი ტონა მაღალი კონდიციის ხორბალია. ნავსადგურის უფროსთან რომან ახობაძესთან სატელეფონო საუბრით გაირკვა, თქვა მან, რომ სადაცაა ჩვენს ნაპირს მოადგება კიდევ ერთი გემი იმავე ტვირთით. ეს არის „ელიზაბეტ ლაიქსი“; იგი 9,6 ათას ტონა პურის ფქვილს ჩამოიტანს.

ვარაუდობენ, რომ უკვე მიმდინარე თვის მესამე დეკადის დამდეგისთვის ბათუმის ნავსადგურში შემოვა ამერიკიდან გამოგზავნილი ხორბლით დატვირთული მესამე გემიც.

ვალერიან ბაბუაძე.

მეთვალყურის სტატუსით

ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში გამართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების შეხვედრას მეთვალყურის სტატუსით ესწრებოდა საქართველოს დელეგაცია მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის რომან გოცირიძის ხელმძღვანელობით.

განიხილეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონების, მათ შორის სამოქალაქო საზღვაო ფლოტის განაწილების საკითხი, საგარეო ვალის დაფარვასთან დაკავშირებული პრობლემები, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის და სხვა ეკონომიკური საკითხები.

ყირგიზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა და საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ხელშეკრულებებს, რომლებიც ითვალისწინებს საქართველოსთვის ფქვილის, ნართის, თამბაქოს და სხვა სახის როგორც სამრეწველო, ისე სასურსათო პროდუქციის მოწოდებას.

შედარებით მშვიდად ჩაიარა

სოხუმი, 13 ოქტომბერი. წუხანდელმა ღამემ სოხუმში შედარებით მშვიდად ჩაიარა. კანტი-კუნტი სროლა გაისმოდა მდინარე გუმისთის მიდამოებში. სოხუმში მყოფმა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ გენერალ-მაიორმა ავთანდილ ცქიტიშვილმა დღეს განაცხადა, რომ 12 ოქტომბერს ღამით აფხაზეთის შეიარაღებულმა ჯგუფებმა დივერსიული გამოხდომა სცადეს სოფელ შრომის მიმართულებით. ცქიტიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს სამხედრო სარდლობამ საპასუხო ზომები მიიღო, რომელთა შედეგად, როგორც მან თქვა, შეიარაღებული ჯგუფის ზოგიერთი მონაწილე მოსპეს, სხვები დაატყვევეს, დანარჩენებმა კი უკან დაიხიეს. როგორც მან ბრძანა დაზარალებულები არიან საქართველოს მხრიდანაც. ა. ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის შეიარაღებულმა ჯგუფებმა ტყვარჩელის მხრიდან იერიში მიიტანეს ქართულ პოზიციებზე ოჩამჩირის რაიონში. ქართველთა მხარემაც ადეკვატური ღონისძიებანი განახორციელა.

თენგიზ პაჭკორია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი -მოვლენა კომენტარი

ნომერში

◉ საქართველოს ექიმები სასწაულებს სჩადიან 2

◉ ბენზინი, ანუ სიტუაცია, რომელსაც ვერავინ ფლობს 3

უფალმა თქვენ მოგანდოთ

ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ქართველი ერის სიბრძნეში

მის ალმატებულებას, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო ალმატებულებავ, ბატონო თავმჯდომარევ,

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის, სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის სახელით მიიღეთ ჩვენი გულითადი მილოცვა სახელმწიფოს მეთაურად და პარლამენტის თავმჯდომარედ თქვენს არჩევასთან დაკავშირებით.

1992 წლის 11 ოქტომბერი საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც გადამწყვეტი დღე ჩვენი ქვეყნის სულიერი, მატერიალური და ინტელექტუალური აღორძინებისა.

ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ქართველი ერის სიბრძნეში.

გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენი მეთაურობით საქართველო დასძლევს თავის წინაშე მდგარ ყველა პრობლემას და ღირსეულ ადგილს დაიკავებს ცივილიზებულ ქვეყნებს შორის.

ის რთული გზა, რომელიც თქვენ აქამდე განვლეთ, მხოლოდ მომზადება იყო საქართველოს მძიმე ჯვრის სატვირთველად, რომელიც უფალმა თქვენ მოგანდოთ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

ყოვლად წმიდა დედალვთისმშობელი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი.

ღრმა პატივისცემით

ილია II,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

საქართველო აქტიურ როლს შეასრულებს

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, მის ალმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

„იუნესკოს“ და პირადად ჩემი სახელით მსურს გადმოგცეთ გულთბილი მილოცვა საქართველოს რესპუბლიკის „იუნესკოს“ წევრად მიღებასთან დაკავშირებით, რომლის წევრ სახელმწიფოთა რიცხვმა ამრიგად 171-ს მიაღწია.

დარწმუნებული ვარ, რომ „იუნესკოს“ ყველა წევრი სახელმწიფო მიესალმება საქართველოს მათ რიგებში ყოფნას. ჩემი მხრივ, ტაშს ვუკრავ თქვენს ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას საქართველოს ეროვნული ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე გეზრუნათ საქართველოს „იუნესკოს“ წევრად მიღებისათვის. მწამს, რომ ადამიანური რესურსების იმ მდიდარი პოტენციალით, რომელიც თქვენს ქვეყანას აქვს, და თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით საქართველო აქტიურ როლს შეასრულებს საერთაშორისო თანამშრომლობის, მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეში.

უდიდესი მოწიწებითა და პირადი პატივისცემით,

ფედერიკო მაიორი,

„იუნესკოს“ გენერალური დირექტორი.

პარიზი. 9 ოქტომბერი, 1992 წელი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დადგენილება

„ენერგეტიკულ ობიექტებზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების თაობაზე

ენერგეტიკულ ობიექტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზების მიზნით, „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დებულების“ 24-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წლის 12 ოქტომბრის დადგენილება „ენერგეტიკულ ობიექტებზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ“.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს რადიოთი და ტელევიზიით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი

ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 13 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგითების, მატროსების, სერჟანტების, ზემდეგების, მიჩმანების საყოველთაო სამხედრო მოვალეობისა და ზევადიანი სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. დამტკიცდეს „დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგითების, მატროსების, სერჟანტების, ზემდეგების, მიჩმანების საყოველთაო სამხედრო მოვალეობისა და ზევადიანი სამხედრო სამსახურის, გავლის წესის შესახებ“.

2. დროებითი დებულება ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

ჰ. გელაშვილი.

1992 წლის 5 ოქტომბერი.

განახლება

აპოლონ სილაგაძე.

საქართველოს პარლამენტის არჩევნები შედგა.

მიუხედავად წინასწარ დაგეგმილი დაბრკოლებებისა, მიუხედავად რეგიონული და კონტინენტური ანტიმცდელობებისა, მიუხედავად ჩვენს ზღვისპირეთში იარაღის აკომპანემენტისა, არჩევნები მაინც შედგა.

ეს არ იყო ჩვეულებრივი, რიგითი, კალენდარული არჩევნები და უბრალოდ მნიშვნელოვანი მოვლენა. ეს იყო მომენტი ისტორიული ზღურბლის გადალახვის ან არგადალახვისა იმ სახელმწიფოს მიერ, რომელმაც უნდა იარსებოს, ან არ უნდა იარსებოს. შეიძლება ასეც ითქვას: ან შეიქმნას, ან ვერ შეიქმნას. ახალ დროში, ამ ერთი საუკუნის მანძილზე, ისტორიამ მესამედ მოგვცა შანსი. მეორე შანსი ჩვენ წინა, 1990 წლის, არჩევნების შემდეგ ვერ გამოვიყენეთ.

ამიტომ ჩვენს წინაშე გასულ კვირადღეს ამოცანა იდგა. არჩევნები შედგა და ერთი ამოცანა ჩვენ გადავწყვიტეთ.

მეორე ამოცანა სწორი არჩევანის გაკეთება იყო. არჩევნების შედეგები მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაირკვევა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ ამ ამოცანასაც თავი გავართვით.

წინასაარჩევნო კამპანიას არც ოდიოზური ფიგურები აკლდა, არც ოდიოზური ორგანიზაციები, არც არაკომპეტენტურობა, არც პრაქტიკულად უკლებლივ ყველას სურვილი, მოხვედრილიყო ხელისუფლებაში, არც პრაქტიკულად უკლებლივ ყველას აზრი, რომ ამისათვის მხოლოდ სურვილია საკმარისი. კამპანია ძალიან წააგავდა აუქციონს... ამომრჩეველი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ამ სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამოც და იმ ობიექტური ფაქტის გამოც, რომ ჩვენი პოლიტიკური სპექტრი არა მარტო არჩევნებისეულ ფილტრაციას საჭიროებდა, არამედ არჩევნებამდელ თვითფილტრაციასაც. ჩვენ იმის იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ ამომრჩეველი გაერკვა სიტუაციაში, და იმისიც, რომ პოლიტიკური სპექტრი, პროგრამულ დიფერენცირებაზე და პარტიულ პრინციპულობაზე დაყრდნობით, უახლოეს მომავალში გამოკრისტალდება, პარლამენტის წიაღში, მისი მუშაობის და აგრეთვე მომავალი ციკლისათვის მზადების პროცესში.

ამომრჩეველი რთული არჩევანის წინაშე იდგა. იმედი ვიქონიოთ, რომ მან შეძლო არჩევნების წინა ღამეს შინაგანად დამშვიდებულიყო, ხოლო არჩევნების დღეს სუფთა სინდისით უშუალოდ სხვისი კარნახი და თავისი საკუთარი გადაწყვეტილება განეხორციელებინა.

ამ გადაწყვეტილებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

მასში უნდა გამჟღავნებულიყო ჩვენი გარდაქმნა — ამჟამად მხოლოდ ერთი მხარე იგულისხმება: ჩვენ უნდა დაგვემტკიცებინა, რომ დღეს შეგვიძლია ის, რაც გუშინ არ შეგვეძლო — ისტორიის მსვლელობის მიერ ჩვენთვის მოწოდებული გაკვეთილების ათვისება, მათი გათვალისწინება.

სულ უკანასკნელი გაკვეთილი ასეთი იყო:

აფხაზეთში სხვა ქვეყნების ძალებისა და სხვა ქვეყნების იარაღის მიერ ჩვენთვის მოყენებული უმძიმესი დარტყმა, ისეთი, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ და ფიზიკურ არსებობას სრულიად რეალურად დაემუქრა. შემდეგ — საკუთარი შესაძლებლობების კოლოსალური დაძაბვა და მდგომარეობის დროებითი კონსერვაციის მიღწევა, რათა ჩვენი დანაკარგების ესკალაცია არ განხორციელებულიყო — წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი სახელმწიფოებრივი კეთილდღეობის ბედი ბეწვზე დაეკიდებოდა. ამასობაში — გაეროს უშიშროების საბჭოს რეაქცია, რომელიც არა მარტო საჩვენო იყო, არამედ ფაქტობრივად რუსეთს ადანაშაულებდა აგრესიაში; ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მხარდაჭერა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში; თითქოს რუსული საინფორმაციო საშუალებების ტონის ოდნავი შეცვლა... რაღაც ცვლილებები, რომლებიც იმედს წარმოშობენ, მაგრამ რაღაც მოძრაობები, რომლებიც საფრთხეს ქმნიან. თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩვენ გვინდა, ჩვენ შეგვეძლება ვთქვათ, რომ კიდევ ერთხელ ჩვენს ისტორიაში დავუსხლტით ბოროტი ნების კლანჭებს. მაგრამ მაშინ გაკვეთილებიც უნდა გამოვიტანოთ. თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩვენ გვინდა, მაინც უნდა დავინახოთ, რომ ამჟამად, დროებით, გვიხსნა მსოფლიოში შექმნილმა გლობალურმა პოლიტიკურმა კონიუნქტურამ და ამ ასპექტში ფაქტობრივად ერთი ადამიანის ავტორიტეტმა და შესაძლებლობებმა. მაგრამ გაკვეთილი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ჩვენი ასეთი ყოფა მომავალში აღარ შეიძლება, არ შეიძლება ქვეყანა და ერი ცხოვრობდეს შესაძლებლობების და ჯარიმის ზღვარზე. ასე მუდმივად ვერ გაგრძელდება, ეს სარისკოა. ერთი კაცი ყველა შემთხვევაში მხოლოდ ერთი კაცია. სახელმწიფო სახელმწიფოა და იგი უნდა ცხოვრობდეს სახელმწიფოებრიობის პირობებში, მოქმედი და არა ფორმალური სტრუქტურების პირობებში. დღევანდელი და გუშინდელი ჩვენი სახელმწიფო, თუ მას სახელმწიფო ჰქვია, ერთი კაცის სახელმწიფოა. ხვალ იგი სახელმწიფოს სახელმწიფო უნდა იყოს, ხვალ უნდა იყოს პირველის გვერდით მეორე კაციც, უნდა იყოს მთელი პოლიტიკური გუნდიც (უნდა იყოს მთელი საზოგადოებაც).

იგი უნდა შექმნას ამომრჩეველმა, შემდეგ იგი ამომრჩეველსა და ქვეყანას უნდა მოემსახუროს და არა საკუთარ თავს. ეს იყო არჩევნების მთავარი ამოცანა. თუ ამომრჩეველმა ყველა და ყველაფერი დაივიწყა, ქვეყნის ინტერესების გარდა, მაშინ მან გასულ კვირადღეს თავისი მისია პირნათლად შეასრულა.

თუ ეს ასეა, მაშინ საერთო ამოცანის მესამე მხარე მომავალ პარლამენტს და მომავალ ხელისუფლებას ეკისრება.

ახალი ცხოვრება ახალ კანონებს ითხოვს, ახალი კანონები (ისევე როგორც ძველი) სხვა არაფერია, თუ არა ობიექტურობის კანონები. მაგრამ ეს იმ ქვეყნებისთვისაა ცნობილი და განხორციელებული რეალობა, რომელთაც თანამედროვე და დემოკრატიული ქვეყნები ჰქვია. ჩვენთვის ეს სიახლეა, ჩვენთვის ეს განახლებაა. ობიექტურობა ისაა, რომ, თუ არჩევნების ჩატარება გადავწყვიტეთ, ჩვენ ყველას პრინციპული შეთანხმება მივყვებით, ხოლო ობიექტურობის კანონები იმას მოითხოვენ, რომ თამაშის წესები, რომლებიც არჩევნებისწინა შეთანხმებას განაპირობებდა, უნდა დავიცვათ არჩევნების შემდეგაც, დავიცვათ იმისდა მიუხედავად, შევძლებთ თუ არა ამჟამად (ამჟამად!) დაგვემორჩილებინა ისინი ჩვენი — პიროვნებების, პარტიების, ბლოკების — პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის. ჩვენ ეს გზა უნდა განვაგრძოთ ლეგიტიმური ხელისუფლების მუშაობისას და ელექტორატის წინაშე. ჩვენი შეთანხმება და თანხმობა ნებაყოფლობითია, ხოლო არჩევნების შედეგები გადასინჯვას არ ექვემდებარება.

ჩვენ ყველანი ვხედავთ იმ საშინელ ვითარებას, რომელშიც დღეს ვართ, ამიტომ ჩვენ ყველანი უნდა ვხედავდეთ იმ ამოცანებს, რომლებიც ისტორიამ, ვინ იცის უკანასკნელად, დაგვისვა გადასაწყვეტად. ისტორიასთან ხუმრობა არ შეიძლება. ამ ერთი საუკუნის მანძილზე მან მესამედ მოგვცა შანსი. მეოთხე აღარ იქნება!

1992 წლის 12 ოქტომბერი.

მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით

არჩევნები გორში

ქალაქ გორისა და მისი რაიონის № 5/82 საარჩევნო ოლქში შეჯამდა მთლიანად შიდა ქართლში 11 ოქტომბრის არჩევნების შედეგები.

პოლიტიკური აქტიურობა და მოქალაქეობრივი შეგნება, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის სურვილი — აი, ამ ნიშნით გაიმართა აქ არჩევნები.

ყოველივე ზემოთქმული (ციფრების ენით ასე გამოიხატება: არჩევნებში მონაწილეობა მიიღო გორისა და მისი რაიონის (მათ შორის სამაჩაბლოს — დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართული სოფლების) 99.215 ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 91.2 პროცენტია.

[illegible]

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ხმა მისცა 99153-მა კაცმა, ანუ მონაწილეთა 99,7 პროცენტმა.

დამოუკიდებელი დეპუტატობის 13 კანდიდატს შორის ამომრჩევლებმა უპირატესობა მიანიჭეს გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს, ინჟინერ-მექანიზატორს გივი აბალაკს.

გურამ ვაშაკიძე.

სანამ საბოლოოდ შეჯამდებოდეს

გვაცნობეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

მართლაც, არნახული რამ მოხდა. ქვეყანაში, სადაც გაფთრებული ომი მიმდინარეობს, სადაც ყოველდღიური საფიქრალ-საზრუნავი უდიდეს წინააღმდეგობებს უქმნის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, ქუდზე კაცი გამოვიდა თავისი სამშობლოს მომავალი ბედის გადასაწყვეტად.

ჯერ არჩევნების შედეგები ბოლომდე შეჯამებული არ არის. ამას ალბათ, კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდება, მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადია — საქართველომ, ქართველმა ხალხმა მოახდინა თავისი არჩევანი — ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ ჩვენში ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს და შეუქცევადი გახდეს დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპი.

აი, ეს არის მთავარი!

მაგრამ, ხომ იცით, ჩვენებური ცნობისმოყვარეობა: დღე ერთია და ათობით ადამიანი გვირეკავს რედაქციაში, გვთხოვს, გავაცნოთ ეს ინფორმაცია. ცალკეული საინფორმაციო საშუალებები და სააგენტოები აქვეყნებენ ე. წ. წინასწარ მონაცემებს. მაგალითად, გუშინ სააგენტო „იფრინდამ“ საზოგადოებრიობას აუწყა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა წინასწარ შეაჯამეს ქ. თბილისის 52 და საქართველოს სხვადასხვა საარჩევნო ოლქში გამართული არჩევნების შედეგები და აღნიშნეს, რომ ამ მონაცემების მიხედვით ბატონ ე. შევარდნაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 92,3 პროცენტმა, ბატონ თენგიზ კიტოვანს — 67, 8, ბატონ ჯაბა იოსელიანს — 80 პროცენტმა, ბატონ თენგიზ სიგუას კი საარჩევნო უბნებში მოსული 62. 200 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 44.900-მა.

დღეს ამ მონაცემებს ახალი ციფრები დაემატა. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესცენტრის ხელმძღვანელმა დ. ჯაფარიძემ გვაცნობა, საქართველოს 3. 497.979 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.604.165-მა, რაც საერთო რაოდენობის 74,45 პროცენტია.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ხმა მისცა 2. 498.856 კაცმა, რაც არჩევნებში მოსულ ამომრჩეველთა 95,96 პროცენტია.

ბატონებმა თენგიზ სიგუამ და თენგიზ კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიებმა გვამცნეს, მიიღეს ხმების ისეთი რაოდენობა, რომელიც სავსებით საკმარისია არჩევნებში გასამარჯვებლად.

უახლოეს დღეებში, როგორც იტყვიან, მისხალ-მისხალ დაზუსტდება არჩევნებთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი და ჩვენც გვექნება შესაძლებლობა მოგაწოდოთ საბოლოოდ დაზუსტებული ცნობები ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ამ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენის შესახებ.

გიორგი ჭელიძე.

გაეროს მისია საქართველოში

12 ოქტომბერს ზაგრებიდან თბილისში ჩამოვიდა გაეროს ფაქტების დამდგენი მისია გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის ანტუან ბლანკას ხელმძღვანელობით.

13 ოქტომბერს მისია მიიღო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. გაიმართა ხანგრძლივი საუბარი, რომელიც შეეხო საქართველოში და, კერძოდ, აფხაზეთში შექმნილ ვითარებას. მისიის წევრებმა ამომწურავი პასუხი მიიღეს ყველა კითხვაზე. საუბრის დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოს, თვით მისიის წევრებს, რომ ოპერატიულად გამოეხმაურნენ საქართველოს ხელისუფლების თხოვნას, და წარმატება უსურვა მისიის მოგზაურობას აფხაზეთში.

მისიის წევრებმა აღუთქვეს, რომ ყველაფერს იღონებენ, რათა აფხაზეთის კონფლიქტი, რომელიც არა მარტო ამ რეგიონის, არამედ, შესაძლოა, უფრო ფართო მასშტაბის დესტაბილიზაციის ფაქტორი გახდეს, კვლავ მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგდეს და სამხედრო კონფრონტაციის გაფართოების საშიშროება გამოირიცხოს.

გაეროს მისია ბატონ ანტუან ბლანკას ხელმძღვანელობით შეხვდება საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს თენგიზ სიგუას, თავდაცვის მინისტრს თენგიზ კიტოვანს, შეხვედრებს გამართავს თბილისის სასტუმროებში მოთავსებულ გაგრის ზონიდან გადმოყვანილ დაჭრილ მებრძოლებთან, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, აფხაზეთიდან ლტოლვილ მოსახლეობასთან. 14 ოქტომბერს იგი სოხუმს მიემგზავრება, სადაც მოსალოდნელია მისი საუბარი აფხაზეთის პარლამენტის ფრაქციის „დემოკრატიული აფხაზეთის“ წევრებთან. მისიის პროგრამაში შედის აგრეთვე ტერორისტების მიერ აფეთქებული სარკინიგზო ობიექტების დათვალიერება და აფხაზთა მხარის თანხმობის შემთხვევაში — შეხვედრა გუდაუთაში მყოფ ლიდერებთან. მისია, ცხადია, გაეცნობა მოსახლეობის მდგომარეობას გუდაუთასა და გაგრის ზონაში.

— ჩვენი პროგრამა ძალიან ფართოა, დიდი სამუშაო გვაქვს შესასრულებელი, — თქვა ჟურნალისტებთან საუბარში ბატონმა ანტუან ბლანკამ.

გაეროს კეთილი ნების მისია საქართველოში 16 ოქტომბრამდე დარჩება.

ქართული კულტურა მართლაც უნდა გადავარჩინოთ!

(დასასრული)

შევიდოდნენ, ყველასთვის უფლის სიტყვა მის მშობლიურ ენაზე უნდა ყოფილიყო ქადაგებული. იმპერიას სურდა, რომ ქართველი კაცი ფაქტობრივად ეკლესიის გარეშე დაეტოვებინა, გაენელებინა მისი ლტოლვა დედაეკლესიისაკენ. ასეთი შეჭირვების ჟამს ეკლესიის მისია ნაწილობრივ თავის თავზე აიღო ქართულმა მწერლობამ. ამ მიმართებით იღვაწეს მთელი შეგნებული ცხოვრებით ილიამ, ვაჟამ, აკაკიმ, იაკობმა, და ქართული მწერლობა დღესაც მათი ტრადიციების გამგრძელებელია, იგი იქნება იქ, სადაც მისი ვალია, იყოს. ძნელი ასახსნელია, რატომ, მაგრამ ფაქტია — პატარა ქვეყნებში მწერლობას წმინდა პროფესიულის გარდა, უფრო მაღალი ფუნქცია აქვს, უფრო მეტს ნიშნავს! თანამედროვე ქართული მწერლობა შედარებით ნაკლებად არის ცნობილი საზღვარგარეთ, ვიდრე რომელიმე სხვა დარგი ხელოვნებისა, რადგან ფილმს, სპექტაკლს, ნახატს უფრო იოლად გააცნობ უცხოეთში, ამიტომაა, რომ ქართული მწერლობა ჯეროვნად არაა პოპულარული უცხოეთში, ისე როგორც სასურველია იყოს, თუმცა კი, რაც ითარგმნა და გამოიცა უცხოეთში, ჩვენი თანამედროვე ავტორებიდან, იქაური ლიტერატურათმცოდნეების ქება და ხოტბა არ დაჰკლებია.

— დავით, თქვენ უპირველესად შემოქმედი ხართ, პოეტი და ლიტერატურათმცოდნე. ხომ არ უშლის ხელს მთავარ მოწოდებას თქვენი დღევანდელი თანამდებობა?

— მართლაც, თანამდებობა შემოქმედს ბევრ რამეში უშლის ხელს, ყოველდღიური საზოგადოებრივი აქტივობის გამო შეიძლება შემოქმედებითი განწყობილება გარკვეულწილად ჩაიწვალოს, მაგრამ შეთავსება ვფიქრობ, მაინც შესაძლებელია; რისი დასტურიც არის, გნებავთ, ქართული ლიტერატურის ისტორია და საერთოდ, საქართველოს ისტორია. გამომცემლობა „მერანის“ მომავალი წლის გეგმაში დევს ჩემი მეოთხე წიგნი, ასევე ვმუშაობ თეორიული ხასიათის ნაშრომებზე — „ფერის მეტყველება ძველ ქართულ ეკლესიაში“, აქ რა თქმა უნდა, ჩემი ამოსავალი იქნება ვიქტორ ნოზაძის შრომა „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება“.

— ამას წინათ საქართველოს მწერალთა კავშირში მოეწყო შეხვედრა თეატრის მოღვაწეებთან, რომელიც მიეძღვნა თეატრისა და მწერლობის ურთიერთობას, იქ ქართული დრამატურგიის უნუგეშო მდგომარეობა დაიხატა, რომ დღეს ჩვენ არა გვაქვს ქართული თეატრი, გვაქვს მხოლოდ თეატრი ქართულ ენაზე, თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლა ასე საგანგაშოდაა საქმე?

— ნამდვილად ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ ქართული დრამატურგია უფერულია. ცოტას არ ნიშნავს, რომ გვყავს კლდიაშვილი და კაკაბაძე, მერე, ნუ დაგვავიწყდება თანამედროვეთა ოთარ ჩხეიძის, ოთარ ჭილაძის, თამაზ ჭილაძის, რევაზ ინანიშვილის დრამატურგია, ლაშა თაბუკაშვილის, შადიმან შამანაძის, ირაკლი სამსონაძის, ზურაბ სამადაშვილის, მამუკა სალუქვაძის, უდროოდ გარდაცვლილი თამაზ ბაძაღუას პიესები. ეს უზარმაზარი ძალაა და მათ კალამს შესანიშნავი დრამატურგიული ნაწარმოებები ეკუთვნით. უბრალოდ, საჭიროა უფრო მეტად დაინტერესდეს ჩვენი რეჟისურა ეროვნული ლიტერატურით, ხომ მოახერხა ალექსანდრე ქანთარიამ რევაზ ინანიშვილის მოთხრობებიდან შესანიშნავი სპექტაკლის „ჩემი წყალქალის ზმების“ შექმნა, შეიცნო ამ მწერალში დრამატურგის პოტენცია და უბიძგა მწერალს დაეწერა პიესა „ალალე“. ასევე ქანთარიას დამსახურებაა, რომ გურამ გეგეშიძის „ჟამმა“ პოვა სცენური სიცოცხლე. ეროვნული რეპერტუარის სცენურ განსხეულებაზე მსჯელობა, მეორეს მხრივ, ვფიქრობ, საფრთხილოა. იმდენად, რამდენადაც, ისე არ მოხდეს, რომ რომელიმე მწერალმა თავისი სუსტი პიესის გამო, თუ ის ვერ პოვებს სცენურ ასახვას, რეჟისორს დასდოს ბრალი არაეროვნულობაში და ამის გამო უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი შექმნას.

— აქვე მინდა გავიხსენო ერთადერთი სოლიდური სახელოვნო ჟურნალის „ხელოვნების“ მძიმე მდგომარეობა. მას შესანიშნავი რედაქტორი ჰყავს ბატონ ნოდარ გურაბანიძის სახით, იგი უკვე ათი წელიწადია, სათავეში უდგას ჟურნალს, რომელიც ჭეშმარიტად ევროპული სტანდარტების დონეზეა. „ხელოვნებას“ ამჟამად ისეთი მძიმე მატერიალურ-ფინანსური სიძნელეები შეექმნა, რომ დახურვის საფრთხე დაემუქრა...

— ჟურნალისა და მისი რედაქტორისადმი ჩვენც ანალოგიური აზრისა ვართ, ყველა ღონეს ვიხმართ მისი გადარჩენისათვის. სამინისტროს კოლეგიაზე ამ დღეებში ეს საკითხი უკვე გამოვიტანეთ და გადაწყდა, რომ ჟურნალის დამფუძნებელი იქნება სამინისტრო, ყველანაირად ვეცდებით ჟურნალი კვლავ ყოველთვიური გახდეს, რათა ტრადიციულად ერთგულად ემსახუროს ქართულ ხელოვნებას.

ინტერვიუ

— შემოქმედებითი კავშირების საქმიანობა როგორ გესახებათ სამომავლოდ?

ნებისმიერი კავშირის წევრებისათვის ერთმანეთის შემოქმედება და აზროვნება ძვირფასი და მეტად ღირებული უნდა იყოს, თუნდაც ბევრ შემთხვევაში მათი აზრები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. ჩემის აზრით, ეს უნდა იყოს თავდაპირველი ამოსავალი ამათუიმ კავშირში გაწევრიანებისათვის. დღევანდელ დღეს ხელოვნების წარმომადგენლები გაერთიანებული არიან ერთ კავშირში, სამომავლოდ შესაძლებელია ხელოვნების ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელთა კავშირმა დაკარგოს ცენტრალიზებული ხასიათი და შეიქმნას ასოციაციები, კლუბები, გაერთიანებები.

— მე მეჩვენება, რომ დღევანდელი შემოქმედებითი კავშირები იქითკენ ისწრაფვიან, რომ მინისამინისტროებად ჩამოყალიბდნენ.

წარსულში ხელისუფლებას სურდა შემოქმედებით კავშირებს ცენტრალიზებული ხასიათი ჰქონოდათ, რადგან უნდოდათ ისინი ყოფილიყვნენ იდეურად სამართავი აპარატის საყრდენი.

ახლა, და მით უფრო სამომავლოდ, ცენტრალიზებული შემოქმედებითი კავშირის ამგვარი შინაარსი აზრს ჰკარგავს.

მომავალში ამა თუ იმ შემოქმედებითი კავშირის წევრთა გადასაწყვეტია თანამედროვე სახით შეინარჩუნებენ კავშირს თუ დანაწევრდებიან სხვადასხვა ასოციაციების სახით.

— გავიგე, რომ თქვენთან შეიქმნა კულტურის სამინისტროს წახალისების ფონდი. რას გვეტყვით ამ ფონდის შესახებ?

— რაკი უკვე არსებობს ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტი ბატონ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, ამგვარი ფონდის შექმნაც ნამდვილად დროული და საშური იყო დღევანდელი კულტურისათვის, მისი ეკონომიკური ხელშეწყობის მიზნით. ფონდის არსებობისათვის აუცილებელი პირობაა, რომ ამ ფონდის დამფუძნებელი ორგანიზაციები (ესენი არის სამინისტროსთან არსებული საწარმოო კომბინატები) მთავრობამ გაათავისუფლოს გადასახადისაგან. აქედან ამოღებული თანხის გარდა, ფონდის სახსრებს შეადგენს საქველმოქმედო შემოწირულობანი. ფონდის სახსრები მოხმარდება კულტურის შემდგომ განვითარებას, პრიორიტეტი მიენიჭება მაღალმხატვრულ, ჭეშმარიტ ხელოვნებას.

კულტურის სამინისტრო შეძლებისდაგვარად ახლაც უწევს დახმარებას კულტურის მოღვაწეებს, მაგალითად, ნაირა გლუნჩაძეს სამინისტროს რეკომენდაციით გაეწია სპონსორობა — იტალიაში მან მოიპოვა პირველი პრემია კონკურსში „ვერდის ხმები“, ნუგზარ გამგებელი გაემგზავრა ბელინის სახელობის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სიცილიაში, ხოლო ეთერ ჭყონიამ ლაურეატის წოდება მოიპოვა ბარსელონაში. ქალაქ ოზიმოს საოპერო ხელოვნების აკადემიაში უკვე მესამე წელია სტაჟირებას გადის სამი ქართველი მომღერალი: ნანა გორდაძე, მაია ჩიხრაძე და ალა სიმონიშვილი. ამჟამად ვმუშაობთ იმაზე, რომ მივცეთ საზღვარგარეთ სწავლების გაგრძელების საშუალება საგუნდო დირიჟორებსა და საოპერო-სიმფონიური ორკესტრის დირიჟორებს.

— კულტურის სამინისტროს სამუშაო ჯგუფმა ახლახან იმოგზაურა მესხეთ-ჯავახეთში, რა იყო ამ მოგზაურობის მიზანი?

— მესხეთ-ჯავახეთში ჩვენი წასვლა განაპირობა იმან, რომ გვეჩვენებოდა — ნაკლებად იყო ეს მხარე ყურადღების არეში. ჩვენს მოგზაურობას ორი მიზანი ჰქონდა, პირველი ის, რომ მორალურად გაგვემხნევებინა იქაური კულტურის მუშაკები და მეორე — გაგვეწია მათთვის მატერიალური დახმარება — ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ნინოწმინდის კულტურის განყოფილებებს გადავეცით 150000 მანეთი, ასევე ფინანსურად დავეხმარეთ ახალციხის სახელმწიფო თეატრს. ამგვარი დახმარებები ამიერიდან სისტემატურ ხასიათს მიიღებს, ჩვენთან ხომ უკვე არსებობს კულტურის წახალისების ფონდი.

— დავით, დღეს როცა ქართველებს ბედისწერამ თითქოს გამოცდა მოგვიწყო, როგორ შევინარჩუნებთ ზნეობრივ სიმაღლეს?

— ჩვენი ზნეობა უპირველესად იმით უნდა გადავარჩინოთ, რომ არ გაგვიჩნდეს ეროვნული სიძულვილი რომელიმე ერის მიმართ, თუნდაც ჩვენს შორის სისხლი იღვრებოდეს. ამ მხრივ აბო ტფილელის მაგალითია სანიმუშო. არაბებმა ისე შევიწროვეს მაშინ საქართველო, რომ, როგორც ერთი სულიერი მამა წერს — გაჩნდა საშიშროება, ქართლს მთელი არაბეთი შესძლებოდა. ეს რომ არ მომხდარიყო, სწორედ არაბეთიდან მოუვლინა უზენაესმა თბილისს მფარველი აბოს სახით. ფსევდოპატრიოტიზმს აღზევებასთან მოაქვს უამრავი ლექსი და მანკიერება, ვაჟა-ფშაველა თვლიდა, რომ პატრიოტიზმის უმწვერვალესი საფეხური უახლოვდება კოსმოპოლიტობას, მაგრამ არა იმ გაგებით, დღეს რომ ვხმარობთ, არამედ, მეორე ქვეყნის ტრადიციის, კულტურისა და ეროვნული ღირსების ობიექტურად დაფასების ნიშნით.

ესაუბრა
გიორგი ლალიაშვილი.

ომის დღიურიდან

ექიმი და ზღვა

არმაზ ძალიძე.

გაგრა, რასაკვირველია, ადრე იწყებოდა, გაგრის ტრაგედია. ჰაერში ეკიდა და კი-არას ციებ-ცხელებიანი ამპლიტუდით არწევდა შეშფოთების გრძნობა: რაღაც უნდა მომხდარიყო, ან — არა.

არც სჭიროდათ მაინცდამაინც, ან იმედი ჰქონდათ — რაციონალიზმი სძლევდა ექსტრემიზმს: თითქოს მუშაობდნენ კიდეც ამ მიმართულებით.

კატეგორიულ მოთხოვნებს გაგრიდან პანიკას უწოდებდა ზოგიერთი. ასეც იყო.

კომისია (აფხაზეთის კონფლიქტის კონტროლისა და ინსპექციის) მუშაობდა, მაგრამ არ იცოდნენ (?) ვისთან ჰქონდათ საქმე, ან (ეს უფრო!) ნორმალური ადამიანურობის სტანდარტებით ხელმძღვანელობდნენ არძინბას წარმომადგენლებთან ურთიერთობისას; მით უფრო, რომ მათთან შეხვედრის აუცილებლობა კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის მოსკოვის ხელშეკრულებით იყო განპირობებული: მოლაპარაკების პროცესში მხარეთა მიერ ურთიერთნდობა ელემენტარული და აუცილებელი პირობაა, დიპლომატიურიც, კაცურიც...

მაგრამ გაგრა იწყებოდა ადრე და არცთუ ჩუმად.

ექიმი

24 სექტემბერი. სოხუმი. კომისიის სხდომის მესამე რაუნდი ეს-ესაა დაიწყო „სინოპის“ მეორე სართულზე.

პირველზე — რამდენიმე ჟურნალისტი და ექიმები, მათ შორის, — რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველი მოადგილე ვლადიმერ გიორგაძე და სოხუმის მერი, რომელიც ისე ხმამაღლა და იმდენს ლაპარაკობს ტელეფონით, რომ დიქტოფონის ჩანაწერის გაშიფვრისას, მისი განკარგულებების მესერიდან ძლივს გამოვაძვრინე ჩემი რესპონდენტის პასუხები.

— მძიმედ დაჭრილთა შორის დანაკარგი 10-15 პროცენტია, — ამბობს ბატონი ლადო, — იმ დაჭრილებზე მოგახსენებთ, რომლებიც ჩვენთან, სტაციონარში მოხვდნენ და რომელთა ობიექტური მდგომარეობა შეუთავსებელი იყო სიცოცხლის შენარჩუნებასთან. წინასწარი სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ ჩვენი შედეგები ამერიკელებისაზე უკეთესია ვიეტნამის ომში.

— ...?

— დიახ, ასეა. ჩვენ რეალისტურად ვაფასებთ სიტუაციას და ვიცით, რომ გადამწყვეტი ფაქტორი ამ შემთხვევაში არის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მაქსიმალურად მიახლოება ფრონტის ხაზთან. თანაც დაჭრილების მკურნალობაში მონაწილეობდნენ ჩვენი სამედიცინო მეცნიერების საუკეთესო ძალები. გამოცდილება, რომელიც აქ შევიძინეთ, ღმერთმა ნუ დაგვაჭიროს, მაგრამ მშვიდობიან პერიოდში ტრავმების მკურნალობისას გამოგვადგება.

მაინც ერთი პრობლემა განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია. ფსიქიკურ ტრავმებზე მოგახსენებთ.

— რაზეც არ ლაპარაკობენ, ან — ძალზე იშვიათად და უხალისოდ. ავღანეთში, ერთ-ერთ სამედიცინო სანიტარულ ბატალიონში გისოსიან პალატას მივაქციე ყურადღება, აგვიხსნეს: აქ ბრძოლებში ფსიქიკურად დაავადებულ მებრძოლებს მკურნალობენო.

— დიახ, სულიერი ტრავმები ომის თანმხლებია. ამიტომ შევქმენით მაღალკვალიფიციური ფსიქიატრთა და ფსიქოლოგთა ბრიგადები, რომლებიც ყოველმხრივ დაეხმარებიან ასეთ ავადმყოფებს.

— ის დადებითი გამოცდილება, რომელიც აქ შეიძინეთ, წაადგება თუ არა სამედიცინო სამსახურს, რომელსაც კრიტიკა არ აკლია?

— ნაკლი აქაც ბევრი გვაქვს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის სამედიცინო მომსახურება წინა ხაზზე, რომელიც უნდა განახორციელოს გვარდიის სამედიცინო სამსახურმა. ეს არის ბატალიონების ექიმების, სანიტარული ინსტრუქტორების (რომლებიც ადგილზე უწევენ პირველ სამედიცინო დახმარებას) საქმიანობის სისტემად ჩამოყალიბება. სხვათა შორის, ასეთი სისტემა ყოფილ სსრკ არმიაში არსებობდა და არ იყო ცუდად ორგანიზებული. ჩვენი არმია ჯერ ყალიბდება და მისი სამედიცინო ხელმძღვანელობა, რამდენადაც ვიცი, ყველაფერს აკეთებს ამ სამსახურის ამოქმედებლად.

— მე სხვა რამეს გეკითხებით: ქართულმა „მშვიდობიანმა მედიცინამ“ თავი გამოიჩინა ომის პირობებში. არის თუ არა ეს იმის წინამძღვარი, რომ მშვიდობიან პირობებშიც ასევე კარგად წარმოაჩენს-მეთქი თავის პოტენციალს, შესაძლებლობას, გამოსწორდება თუ არა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება?

— ყველაფერი დამოკიდებულია ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვას, როგორც პროფესიას, ნაკლებად ეხება. ესაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წამალმომარაგების, სამედიცინო ტექნიკით მომარაგების საკითხები, რომელთა მოგვარება ფაქტობრივად ნულის დონეზეა.

ჩემი მოსაუბრე აანალიზებს ცენტრისგან დამოუკიდებლად არსებობის პერიოდში შექმნილ პრობლემებს. დამოუკიდებლობა, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ მომარაგების წყარო, რომელიც ერთადერთი იყო ჩვენი სამედიცინო სისტემისათვის (ავი დედინაცვალი? ეს სხვა საკითხია) და 99,9 პროცენტით წამლები იქიდან რომ შემოგვქონდა (საკუთარი ფარმაცევტული წარმოება არ გვქონდა და არც ახლა გვაქვს), მედტექნიკით რომ გვამარაგებდა, ახლა საერთოდ დაშრა. სამკურნალწამლო საშუალებებზე მოთხოვნა კი არ შემცირებულა. პირიქით. რუსეთს ახლა თვითონვე უჭირს წამლებით საკუთარი მოსახლეობის მომარაგება. ქართული მედიცინა, როგორც საქართველოს ეკონომიკა, ორიენტაციას დასავლეთისკენ იღებს. შედეგების მყისიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან როგორც საქართველოს ეკონომიკას, მასაც აკლია (არა აქვს) ასეთი ურთიერთობისათვის აუცილებელი რამ — ვალუტა. ბარტერული გაცვლა? სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ იმ ოდენობის წამლების, სამედიცინო ტექნიკის შემოტანას, რაც გვჭირდება, ჩვენი საქონელი აშკარად არ ეყოფა. ერთი სიტყვით, კრიზისული მდგომარეობაა.

ამიტომ — იყავით ჯანმრთელნი, თანამემამულენო, რადგან იმ ძალიან კარგ ხალხს, მაღალკვალიფიციურ მკურნალებსა და დასტაქრებს, რომლებიც საქართველოს ყავს, მეტის გაკეთება არ შეუძლია. სასწაულები — კი ბატონო: აფხაზეთის ომში მკვდრებიც კი გააცოცხლესო! (ამასაც სპეციალისტები ამბობენ) უიმედო, მძიმედ დაჭრილები — გულში, თავში რომ ჰქონდათ მოხვედრილი ტყვია.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას სხვა სასწაულმოქმედება სჭირდება, სჭირდება წლები, და იმ ემბრიონულ ურთიერთობათა განვითარება, უცხოეთის ფირმებთან რომ ყალიბდება დღეს.

— ერთი უხერხული კითხვა: „ნულის დონე“ შთამომავლობით მიიღეთ...

— დიახ, მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ წინამორბედთა კრიტიკის, რადგან ჩვენ ამით უფრო ვერთობით ხოლმე, ვიდრე საქმის გამოსწორებით. ჩვენს დარგში ამ 70 წლის მანძილზე ისეთი მძიმე მდგომარეობა იყო, რომელიც პიროვნებებს არ შეუქმნიათ და არც მათზე იყო დამოკიდებული: ღარიბ ქვეყანაში ძლიერი მედიცინა არ იქნება. უახლოესი ექსმინისტრი ექსპრეზიდენტთან უაღრესად დაახლოებული იყო და შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებინა მედიცინისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

სამინისტროს უკან ეწეოდა ისიც, რომ ხელმძღვანელებად ექიმები მოჰყავდათ. ეს, ჩემი აზრით, შეცდომაა. არის საფეხურები, რომლებიც აუცილებლად უნდა გაიაროს ხელმძღვანელმა. მინისტრსა და ექიმს შორის ძალიან დიდი თვისებრივი სხვაობაა. ასე არ არის?

ამ კითხვაზე მე უნდა მეპასუხა და, რასაკვირველია, კვერი დამეკრა. სამაგიეროდ, პასუხი ჩემს კითხვაზე ველარ მივიღე.

უცებ დაგვავიწყდა ყველას.

ყველას უცბად დაგვავიწყდა ყველაფერი, რადგან დარეკა გაგრამ.

16 საათი და 30 წუთია.

ჯონი ლატარია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს რწმუნებული გაგრის ზონაში, შეშფოთებული გადმოგვცემს გასაოგნებელ ცნობას:

— გაგრა ალყაშია!

17 საათი და 30 წუთი:

— ვერტმფრენები უნდა მოგვეშველებოდნენ, გამოფრინდნენ თუ არა? — ნერვიულად კითხულობს გაგრიდან გენერალი გივი კვანტალიანი.

როლანდ გულუა („მხედრიონი“):

— პირველი დიდი შეტევა ამ დილით, 8 საათზე იყო. ორი კილომეტრი დარჩათ მომხდურებს შტაბამდე. ვაჟა ქრისტესიაშვილი მუცელში დაიჭრა. მტრის ჯარი ტანკების გარდა ყველაფრით შეიარაღებულია. ძირითადად მთიდან გვიტევენ.

ამ წუთისათვის ბრძოლები შეწყდა. ახალი შეტევის მოსაგერიებლად ემზადებიან.

ჯონი ლატარია:

— პირველი ორი შეტევა მოგერიებულია. 8 მებრძოლი დაგვეჭრა, 3 მძიმედაა. თავდამსხმელები რაოდენობრივად გვჭარბობენ — ჩეჩნები, ადიღეები, აფხაზები... უმაღლესი დონის იარაღი აქვთ. ჩვენ კი... ქართული სული და დაპირება ტყუილი. ეგებ აგვიხსნას მთავრობამ, როდემდე უნდა ვიყოთ ასეთ მდგომარეობაში? მაგრამ, იცოდეთ, ქალაქში გადამთიელები ვერ შემოვლენ.

იყო მაშინ ასეთი განწყობილება.

დაახლოებით ერთ საათში ბატონმა თენგიზ სიგუამ კომისიის სხდომა შეწყვიტა და გუდაუთას გაფრინდა. ამაზე უკვე ვწერდით...

...და ზღვა

ზღვა, ზღვა სად არის? იკითხავს მკითხველი, რომელმაც სათაური დაიმახსოვრა.

ზღვა იყო ქვემოთ, ისეთივე ცარიელი, როგორც პლაჟი ამ ხავერდოვან სეზონში.

ზღვა მხოლოდ მაშინ გვახსენდებოდა, როდესაც იქიდან ან იქით ისროდნენ.

მაშინაც, როცა იღელვებოდა და ტალღები ორსული ქალებივით ნაპირისკენ მოილტვოდნენ...

...გაგრა კი ადრე დაიწყო.

მეთვალყურეთა აზრი

არჩევნებმა დემოკრატიულ ვითარებაში ჩაიარა

13 ოქტომბერს, სასტუმრო „მეტეხში“ საქართველოში პარლამენტის არჩევნების მეთვალყურე საერთაშორისო ურთიერთობათა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 24 ქვეყნის წარმომადგენლები, პრესკონფერენცია გაუმართა ქართველ და უცხოელ ჟურნალისტებს.

პრესკონფერენციას უძღვებოდნენ დელეგაციის ხელმძღვანელები — ოსლოს სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი ქალბატონი ასტრიდ ჰეიბერგი და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პრეზიდენტი ბატონი ბრაიან ეთვუდი.

ქალბატონმა ასტრიდ ჰეიბერგმა წაიკითხა საერთაშორისო დელეგაციის დასკვნა, რომელშიც დადებითად არის შეფასებული საქართველოში 11 ოქტომბერს გამართული არჩევნები. მან მიულოცა ქართველ ხალხს ლეგიტიმურ-დემოკრატიული არჩევნების ასე მშვიდობიანად ჩატარება საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში მიმდინარე ომის მიუხედავად.

დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს 9 რაიონში იქ მიმდინარე პროცესების გამო არჩევნები გადაიდო, თუმცა მოსახლეობის 80 პროცენტმა მიიღო მასში მონაწილეობა.

ქალბატონმა ასტრიდ ჰეიბერგმა განაცხადა, რომ გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები შეისწავლიან საქართველოში მიმდინარე პროცესებს და გამოიტანენ ობიექტურ დასკვნებს.

პრესკონფერენცია „მეტეხში“

— დელეგაციის ნაწილი, — თქვა მან, საქართველოში დარჩება ახლანდელი ამბების დამთავრებამდე.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ ქართველი ხალხის დამოკიდებულებამ დელეგაციის მუშაობის მიმართ ცხადყო ქართველი საზოგადოებრიობის ცივილიზებულობა, თუმცა მას 70 წლის განმავლობაში მოუხდა ცხოვრება ტოტალიტარულ რეჟიმში.

მეთვალყურეთა დელეგაციის ხელმძღვანელებმა მოახსენეს ჟურნალისტებს, რომ ისინი იყვნენ რაიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები — რუსები, სომხები, ბერძნები, აზერბაიჯანელები... მათ დიდი ენთუზიაზმით მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში.

შემდეგ დელეგაციის წევრებმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

შეკითხვაზე, ჩამოვიდოდა თუ არა მეთვალყურეთა ასეთი ავტორიტეტული დელეგაცია საქართველოში, ბატონი ედუარდ შევარდნაძეს რომ არ მიეღო მონაწილეობა ამ არჩევნებში, ბატონმა ეთვუდმა განაცხადა, პირადად მე მაინც ჩამოვიდოდი.

გ. კორძაძე,
ნ. გელაშვილი.

Astrid Heiberg
Brian Atwood
NATIONAL
DEMOCRATIC
INSTITUTE
FOR INTERNATIONAL
AFFAIRS

სურათზე: პრესკონფერენციის დროს.

გივი კიკვაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი დებულება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში რიგითების, მატროსების, სერჟანტების, ზემდეგების, მიჩმანების საყოველთაო სამხედრო მოვალეობისა და ზევადიანი სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ

თავი პირველი

ძირითადი საკითხები

1. დროებითი დებულება განსაზღვრავს რიგითების, მატროსების, სერჟანტების, ზემდეგების, მიჩმანების მიერ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში საყოველთაო სამხედრო მოვალეობის მოხდის წესს, მათ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან სამხედრო სამსახურის სპეციფიკას და პირობებს.

2. „საქართველოს რესპუბლიკაში საყოველთაო სამხედრო მოვალეობის შესახებ დროებითი დებულების“ თანახმად შეიარაღებული ძალების ყველა სახეობისა და გვარეობის ჯარებში, საყოველთაო სამხედრო სამსახურის ვადა განისაზღვრება 18 თვით.

3. წვევამდელთა სამხედრო სამსახურის დასაწყისად ითვლება სამხედრო ნაწილში მათი ჩარიცხვის დღე.

4. შეიარაღებულ ძალებში გაწვეული პირები სამხედრო ნაწილებში დადგენილი წესით ღებულობენ სამხედრო ფიცს.

5. საყოველთაო სამხედრო მოვალეობის მოხდის ვადის დამთავრებად ითვლება სამხედრო ნაწილის მეთაურის (უფროსის) ბრძანების გამოცემის დღე რეზერვში დათხოვნის შესახებ.

თავი მეორე

სამხედრო წოდებები და მათი მინიჭების წესები

6. რიგითების, მატროსების, სერჟანტების, ზემდეგებისა და მიჩმანებისათვის საყოველთაო სამხედრო მოვალეობის მოხდის დროს დაწესებულია შემდეგი სამხედრო წოდებები:

ყველა სახეობისა და გვარეობის ჯარებში	სამხედრო-საზღვაო ძალებში
— რიგითი	— მატროსი
— სერჟანტი	— ზემდეგი
— უფროსი სერჟანტი	— უფროსი ზემდეგი
— ზემდეგი	— მიჩმანი

სამხედრო საზღვაო ძალებში

7. საყოველთაო სამხედრო მოვალეობის მოსახდელად სამხედრო ნაწილში ან გემზე ჩარიცხულ პირებს სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანებით მიენიჭებათ სამხედრო წოდება „რიგითი“, ან „მატროსი“.

8. სამხედრო წოდება „სერჟანტი“ („ზემდეგი“) მიენიჭებათ:
— უმცროს მეთაურთა და სპეციალისტთა მომზადების ცენტრების კურსდამთავრებულებს.

9. სამხედრო წოდება „უფროსი სერჟანტი“ (უფროსი ზემდეგი“) მიენიჭება უმცროს მეთაურთა და სპეციალისტთა მომზადების სასწავლო ცენტრების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს სამხედრო სასწავლო ცენტრის უფროსის (მეთაურის) ბრძანებით.

10. სამხედრო წოდება „ზემდეგი“ („მიჩმანი“) მიენიჭებათ საუკეთესო სერჟანტებსა და ზემდეგებს, როგორც საყოველთაო სამხედრო მოვალეობის მოხდის დროს, ასევე რეზერვში გადასვლისას. აღნიშნულ წოდებებს ანიჭებენ ბრიგადის, კორპუსის (და მათი ტოლნი) მეთაურები.

11. თანამდებობებზე დანიშვნის უფლება აქვთ:
— ათეულის მეთაურის, ოცეულის მეთაურის მოადგილის, ასეულის ზემდეგისა ბრიგადის მეთაურის (და მის ტოლს) ან ცალკე სამხედრო ნაწილის უფროსს (მეთაურს).

12. სერჟანტებს, ზემდეგებსა და მიჩმანებს სადისციპლინო წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება ჩამოუქვეითონ სამხედრო წოდება ან ჩამოართვან იმ თანამდებობის პირებმა, რომლებმაც მიანიჭეს სამხედრო წოდება.

13. საყოველთაო სამხედრო მოვალეობის მოხდისას რიგითებს, მატროსებს, სერჟანტებს, ზემდეგებსა და მიჩმანებს ეძლევათ კუთვნილი შვებულება ერთხელ 10 დღით, რის შესახებაც მათ უფორმდებათ სათანადო საბუთები.

გარდა ამისა, მათ შვებულება შეიძლება მიეცეთ:
— ავადმყოფობის გამო სამხედრო-საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე;
— ოჯახური მდგომარეობის გამო — ახლო ნათესავების გარდაცვალების ან მათი მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში;
— სტიქიური უბედურების შემთხვევაში, რომლის დროსაც დაზარალდა სამხედრო მოსამსახურის ოჯახი;

ოჯახური მდგომარეობის გამო შვებულების მიცემის აუცილებლობა დადასტურებული უნდა იყოს ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილების უფროსის მიერ. ასეთ შემთხვევაში, შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 10 დღის ვადით. საჭიროების შემთხვევაში სამხედრო განყოფილების უფროსს უფლება ეძლევა შვებულება გააგრძელოს 6-8 დღით, რის შესახებაც იგი ვალდებულია წერილობით აცნობოს სამხედრო ნაწილის მეთაურს (უფროსს).

14. მობილიზაციის გამოცხადების დროს შვებულებაში ან მივლინებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები ვალდებულნი არიან სასწრაფოდ გამოცხადდნენ თავიანთ სამხედრო ნაწილებში. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ — უახლოეს სამხედრო ნაწილში, ან უახლოეს ადგილობრივ სამხედრო მმართველობის ორგანოების სამხედრო განყოფილებებში, ასეთ შემთხვევებში სამხედრო ნაწილის მეთაურები (უფროსები) და სამხედრო განყოფილების უფროსები ატყობინებენ სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო ნაწილების მეთაურებს (უფროსებს).

თავი მესამე

რიგითების, მატროსების, სერჟანტების, ზემდეგებისა და მიჩმანების სამსახურებრივი გადაადგილება და მივლინება

15. რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები და მიჩმანები საყოველთაო სამხედრო მოვალეობას იხდიან იმ სამხედრო ნაწილებში, სადაც დანიშნული არიან საშტატო თანამდებობებზე მათი სპეციალობისა და სამხედრო წოდების მიხედვით.

16. სერჟანტები, ზემდეგები, რომლებმაც გაიარეს უმცროს მეთაურთა და სპეციალისტთა მომზადება, გაიგზავნებიან შესაბამის სამხედრო ნაწილებში მათი სპეციალობის მიხედვით.

17. ერთი სახეობის ჯარებში რიგითების, მატროსების, სერჟანტების, მიჩმანებისა და ზემდეგების გადაყვანა ხდება ამ ჯარების შტაბის უფროსის ბრძანებით, სამხედრო ნაწილის შიგნით კი — სამხედრო ნაწილის მეთაურის (უფროსის) ბრძანებით. ერთი სახეობის ნაწილიდან სხვა სახეობის სამხედრო ნაწილში ან ერთი გვარეობიდან სხვა გვარეობის სამხედრო ნაწილში გადაყვანა ხდება შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის გადაწყვეტილებით. ძმები საყოველთაო-სამხედრო მოვალეობას იხდიან ერთად, ერთი და იგივე სამხედრო ნაწილში.

18. რიგითები, მატროსები, ზემდეგები, სერჟანტები და მიჩმანები შეიძლება გაგზავნილ იქნენ სამსახურებრივ მივლინებაში შემდეგ შემთხვევებში:
ა) სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად, შეკრებებზე და კურსებზე სასწავლებლად;
ბ) შეკრების და სხვა ღონისძიებათა მომსახურების მიზნით, რაც უკავშირდება საბრძოლო მომზადებას;
გ) სამხედრო ტვირთის, საბრძოლო ტექნიკისა და ქონების დასაცავად და გასაცილებლად;
დ) ავადმყოფების გასაცილებლად;
ე) მართლმსაჯულების ორგანოებში გამოსაცხადებლად;
ვ) სპორტულ და კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, სხვა შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება სამხედრო სამსახურის საკითხებს.

19. მივლინებაში გაგზავნა ხდება ნაწილის მეთაურის (უფროსის) ბრძანებით, მივლინებულ პირზე გაიცემა სამივლინებო ბარათი.

20. დანიშნულების პუნქტში მისვლისას სამხედრო მოსამსახურე მოახსენებს მეთაურს (უფროსს), ვის განკარგულებაშიც ის არის მივლინებული და დგება სამხედრო წესდებით გათვალისწინებულ სამხედრო აღრიცხვაზე.

21. მივლინებიდან დაბრუნებისას სამხედრო მოსამსახურე მოახსენებს თავის უშუალო მეთაურს.

22. მივლინების დროს სამხედრო მოსამსახურეს ეკრძალება სვლაგეზის შეცვლა. იგი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს მივლინების პუნქტში და დაბრუნდეს თავის სამხედრო ნაწილში, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა — მისი ავადმყოფობის ან სტიქიური უბედურების გამო.

მივლინების ხარჯებს გაიღებს სამხედრო ნაწილი.

თავი მეოთხე

უმაღლესი განათლების მქონე რიგითების, მატროსების, სერჟანტების, ზემდეგებისა და მიჩმანების საყოველთაო სამხედრო მოვალეობის მოხდის თავისებურებანი

23. უმაღლესი განათლების მქონე რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები და მიჩმანები საყოველთაო სამხედრო მოვალეობას იხდიან იმ სამხედრო ნაწილებსა და თანამდებობებზე, რაც შეესაბამება მათ სპეციალობას და განათლებას.

24. საყოველთაო სამხედრო მოვალეობის მოხდის დამთავრების წინ უმაღლესი განათლების მქონე სამხედრო მოსამსახურეები აბარებენ გამოცდებს რეზერვის ოფიცრის პირველად სამხედრო წოდებაზე. იმ პირებს, რომლებიც ჩააბარებენ გამოცდებს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მიენიჭებათ ოფიცრის პირველადი წოდება „ლეიტენანტი“ და ჩაირიცხებიან რეზერვში.

თავი მეხუთე

რეზერვში ჩარიცხვა და სამსახური

25. რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები და მიჩმანები რეზერვში ჩაირიცხებიან „საქართველოს რესპუბლიკაში საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის დროებითი დებულების თანახმად“, რეზერვში ჩარიცხვა ხდება სამხედრო ნაწილის მეთაურის (უფროსის) ბრძანებით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა და თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

26. საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდისას ვადაზე ადრე შეიძლება გათავისუფლდნენ ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სამხედრო-სამედიცინო კომისიამ სცნო უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის, ან სამხედრო სამსახურის გავლისას მათ შეეცვალათ ოჯახური პირობები და მიესადაგებიან „საქართველოს რესპუბლიკაში საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის შესახებ დროებითი დებულების“ მოთხოვნილებებს.

27. რეზერვში ჩარიცხვისას რიგითებზე, მატროსებზე, სერჟანტებზე, ზემდეგებსა და მიჩმანებზე გაიცემა სათანადო საბუთები. ისინი სამხედრო აღრიცხვაზე დგებიან, სამხედრო განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დადგენილი წესით. საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდის პერიოდი მათ ეთვლებათ საერთო შრომის სტაჟში.

28. რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები და მიჩმანები იმყოფებიან რეზერვში მამაკაცები — 45, ხოლო ქალები — 35 წლის ასაკში.

29. რეზერვი იყოფა პირველ და მეორე კატეგორიებად:

პირველი კატეგორიის რეზერვს განეკუთვნებიან ისინი, ვინც სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ არანაკლებ ერთი წლის ვადით, და ყველა ის, ვინც მონაწილეობა მიიღო საბრძოლო მოქმედებებში სამსახურის ვადების მიუხედავად.

მეორე კატეგორიის რეზერვში ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც სამხედრო სამსახურში ერთ წელზე ნაკლები იმსახურეს და ყველა ის, ვინც რაიმე მიზეზით საყოველთაო-სამხედრო მოვალეობა არ მოიხადა.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი ქალები ჩაირიცხებიან რეზერვის მეორე კატეგორიაში.

30. რეზერვში სამსახური ასაკის მიხედვით იყოფა სამ თანრიგად:
პირველი თანრიგი — 30 წლამდე;
მეორე თანრიგი — 40 წლამდე;
მესამე თანრიგი — 45 წლამდე.

რეზერვში მყოფი პირები იწოდებიან სამხედრო ვალდებულად და ისინი სასწავლო შეკრებებს გადიან საჭიროების შემთხვევაში.

თავი მეექვსე

რიგითების, მატროსების, სერჟანტების, ზემდეგებისა და მიჩმანების უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

31. რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები და მიჩმანები საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდისას ასრულებენ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ყველა უფლებით.

32. რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები და მიჩმანები არიან ფულად და სანივთე სახელმწიფო კმაყოფაზე, რომელიც დაწესებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ. საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდისას მათ ენახებათ საცხოვრებელი ფართი და ისინი არ იხსნებიან საბინაო პირობების გასაუმჯობესებელთა სიიდან. მათი საფოსტო კორესპონდენციის გაგზავნა-მიღება და ქალაქის ტრანსპორტზე მომსახურება უფასოა. საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოსახდელად გაწვეულთ დაკავებული თანამდებობები და სასწავლო დაწესებულებებში ადგილები უნარჩუნდებათ. საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდისას დაინვალიდებულ პირებს ენიშნებათ სახელმწიფო პენსია დადგენილი წესით, ხოლო მათი გარდაცვალების ან დაღუპვის შემთხვევაში, მარჩენლის დაკარგვის გამო პენსია ენიშნებათ მათი ოჯახის წევრებს.

33. რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები და მიჩმანები საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდისას ასრულებენ სამხედრო ფიცით და წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობებს. მეთაურის (უფროსის) ბრძანებებს და განკარგულებებს ასრულებენ დაუყოვნებლივ და ზუსტად.

საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდის პერიოდში ისინი წყვეტენ პოლიტიკურ ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობას, მათ ეკრძალებათ ანტისახელმწიფოებრივ და ანტისამთავრობო აქციებში მონაწილეობის მიღება, რაიმე კომერციული საქმიანობა და შეთავსებით სამსახური.

34. რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები და მიჩმანები მატერიალური პასუხისმგებელნი არიან მათ მიერ სამხედრო ტანსაცმლის, იარაღის, ტექნიკისა და სხვა სამხედრო ქონების განზრახ გაფუჭების, დაზიანების და სხვა შემთხვევებში.

35. სამხედრო დისციპლინის და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები და მიჩმანები პასუხს აგებენ სადისციპლინო წესდების თანახმად, ხოლო დანაშაულის ჩადენისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდისას რიგითების, მატროსების, სერჟანტების, ზემდეგების, მიჩმანების ოჯახის წევრები იხდიან დაკავებული საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების გადასახადის დადგენილი თანხის 50 პროცენტს. ასეთივე უფლებებით სარგებლობენ ისინი და მათი ოჯახის წევრები [illegible] თუ სამხედრო მოსამსახურე დათხოვნილი იქნება [illegible] დაავადების გამო, რომელიც უკავშირდება სამხედრო მოვალეობის მოხდას.

საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდისას დაავადებულების, აგრეთვე ამ დროს მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების შედეგად დაღუპულ ან გარდაცვლილ პირთა ოჯახის წევრებს უსასყიდლოდ ეძლევათ მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე მეურნეობისათვის ქალაქის ტიპის დასახლებებში — 0,10 და სოფლად — 2,5 ჰექტარი თითოეულ ოჯახზე. ასეთი ნაკვეთების მფლობელები გადასახადისაგან თავისუფლდებიან.

საყოველთაო სამხედრო მოვალეობის მოხდისას მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად დაღუპულ და გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს ეძლევათ ერთდროული ფულადი დახმარება თითოეულ ოჯახის წევრზე შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონესთან თანაფარდობით 30,0 კოეფიციენტის ოდენობით.

თავი მეშვიდე

ზევადიანი სამხედრო სამსახური

36. ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებად ითვლებიან ის პირები, რომლებმაც მოიხადეს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში საყოველთაო-სამხედრო მოვალეობა და ხელშეკრულების საფუძველზე განაგრძეს სამსახური.

37. ზევადიანი სამხედრო სამსახური კომპლექტდება იმ პირებისაგან, რომლებმაც საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდის შემდეგ გამოთქვეს სურვილი გააგრძელონ სამხედრო სამსახური.

38. ზევადიან სამხედრო სამსახურში სურვილით მიიღებიან 20-დან 30 წლამდე ასაკის რიგითები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები, მიჩმანები და მათ შორის ქალებიც ხელშეკრულებით 40 წლის ვადით. საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულება რამდენჯერმე შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით.

39. ზევადიანი სამხედრო სამსახურის დასაწყისად ითვლება:

საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის მოხდილ პირთათვის ბრძანებით სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის დღე, ხოლო რეზერვში მყოფ პირთათვის — მათი სამხედრო განყოფილებიდან სამხედრო ნაწილში გაწვევის დღე.

40. ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეები მათი სპეციალობის, განათლების, სამხედრო წოდებისა და სამხედრო მომზადების გათვალისწინებით ინიშნებიან ვაკანტურ თანამდებობებზე სამხედრო ნაწილის უფროსის ბრძანებით.

ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეები ინიშნებიან შემდეგ თანამდებობებზე:
— ათეულის მეთაურად — სერჟანტები და მათი ტოლნი, წოდების მინიჭებით;
— ოცეულის მეთაურის მოადგილედ — უფროსი სერჟანტი და მათი ტოლნი;
— ასეულის ზემდეგად — ზემდეგი და მისი ტოლნი;
— საჭიროებისას ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე, გამონაკლისის სახით, დაინიშნებიან ზემდეგები და მიჩმანები.

41. ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო წოდებები მიენიჭებათ სამხედრო ნაწილის (დაწესებულების მეთაურის უფროსის) ბრძანებით, ხოლო სამხედრო წოდება „ზემდეგი“ (მიჩმანი) ენიჭებათ კორპუსის (მისი ტოლი) მეთაურის ბრძანებით. მათი სამხედრო წოდებიდან ან თანამდებობიდან ჩამოქვეითება ხდება იმ თანამდებობის პირთა მიერ, რომლებმაც მიანიჭეს სამხედრო წოდება, ან დანიშნეს თანამდებობაზე.

42. ვადამდე ადრე ზევადიანი სამხედრო მოსამსახურე სამსახურიდან დათხოვნილი იქნება:
— ავადმყოფობის გამო;
— შტატების შემცირებისას;
— მხარეთა შეთანხმებისას ხელშეკრულების მოშლის შესახებ;
— სადისციპლინო წესდებით გათვალისწინებული პირობებით.

43. ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეები იმყოფებიან სამხედრო სამსახურში 45 წლის ასაკამდე.

თუ მათ 45 წლის ასაკამდე ექნებათ 15 და მეტი წლის ნამსახურობის წლები (საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის ვადის ჩათვლით), მაშინ მათ დაენიშნებათ დადგენილი პენსია.

44. უმაღლესი ან საშუალო განათლების მქონე ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებს შესაბამისი გამოცდების ჩაბარების შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მიერ მიენიჭებათ ოფიცრის პირველადი წოდება „ლეიტენანტი“.

45. ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებს შვებულება ეძლევათ ყოველწლიურად 30 დღის ვადით, გარდა ამისა, მათ მიეცემათ მოკლევადიანი (10 დღით) შვებულება ოჯახური პირობების გამო (ახლო ნათესავების გარდაცვალება, ან მძიმე ავადმყოფობა, რაც დადასტურებული უნდა იყოს სამხედრო განყოფილების უფროსის შეტყობინებით). შვებულებაში და უკან დაბრუნების მგზავრობის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

46. ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეები იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე: მათ ეძლევათ ყოველთვიური ფულადი სარგობი, სამხედრო ტანსაცმელი, გამოეყოფათ საცხოვრებელი სადგომი და სხვა. საცხოვრებელი ფართობით ისინი კმაყოფილდებიან იმ შემთხვევაში, თუ მათ ჰყავთ ცოლ-შვილი.

47. ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეების ატესტაცია ხდება წელიწადში ერთხელ საატესტაციო კომისიის მიერ, რომლის დასკვნის შემდეგ სამხედრო მეთაური იღებს გადაწყვეტილებას მათი შემდგომ სამსახურში გამოყენების შესახებ.

48. ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის ყოველდღიურად ეძლევათ 10 მანეთი ოჯახის თითო წევრზე

49. ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სამხედრო სამსახურიდან გადიან რეზერვში ავადმყოფობით, ხანდაზმულობით, შეზღუდული ჯანმრთელობის მდგომარეობით, შტატების შემცირებით, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც აქვთ ნამსახურობის კალენდარული 15 და მეტი წელი, თვითონ და მათი ოჯახის წევრები გადაიხდიან დაკავებული საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების (გათბობა, წყალი, გაზი, ელექტროენერგია) გადასახადის დადგენილი თანხის 50 პროცენტს. ამ უფლებებით სარგებლობენ ისინი სამხედრო სამსახურის დროსაც. ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ავტობუსი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, მეტროპოლიტენი) მგზავრობა უფასოა.

50. სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფობით, ხანდაზმულობით, შეზღუდული ჯანმრთელობის მდგომარეობით, შტატების შემცირების შედეგად განთავისუფლებულ ზევადიან სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე სამხედრო მოვალეობის დროს მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად დაღუპულ ან გარდაცვლილ ზევადიან სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებს უსასყიდლოდ ეძლევათ მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე მეურნეობისადმი ქალაქის ტიპის დასახლებაში — 0,1 და სოფლად — 0,25 ჰა თითოეულ ოჯახზე. ასეთი ნაკვეთების მფლობელები თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

51. სამხედრო სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად დაღუპულ და გარდაცვლილ ზევადიან სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს ეძლევათ ერთდროული ფულადი დახმარება თითოეულ ოჯახის წევრზე შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონესთან თანაფარდობით 30,0 კოეფიციენტის ოდენობით.

სხვა გაზეთებიდან

კავკასიის ომის რუსეთული ექო

ემილ პაინი,
პოლიტოლოგი.

ИЗВЕСТИЯ № 224, 10/X 92 წ.

აფხაზეთის ოქტომბრის მოვლენებმა ფართო რეგიონი, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის მთელ სამხრეთსაც მოიცავს, დიდმასშტაბიანი ომის საშიშროების წინაშე დააყენა.

რუსეთისთვის ამ ყველაზე საშიში რეგიონულ-პოლიტიკური კრიზისის მიზეზთა ანალიზს ბევრი მიმომხილველი იწყებს საქართველოს ხელმძღვანელობის მოქმედების, კერძოდ, იმ ფაქტის შეფასებით, რომ მან აფხაზეთში ჯარის ნაწილები გაგზავნა. აღნიშნავენ, რომ სეპარატიზმთან და ზვიადისტურ ოპოზიციასთან მუდმივი სამხედრო წინააღმდეგობის პირობებში საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას იძენს „ომის პარტია“. ის შევარდნაძეს უბიძგებს - მისთვის აგრერიგ ნანატრი ხელისუფლების ლეგიტიმურობის სანაცვლოდ აფხაზეთში გადამჭრით იმოქმედოს, და სწორედ ამ ურთიერთგამამძაფრებელი ფაქტორების მთელი ჯაჭვი გახდა აფხაზური კონფლიქტის წყარო, ამტკიცებენ მიმომხილველნი.

ამ ტენდენციებში ბევრი რამ სწორად არის შემჩნეული, ვაღიარებ, მაგრამ არ შემიძლია მათი ცალმხრივობაც არ აღვნიშნო, საერთოდ, საქართველოს ხელმძღვანელობის მოქმედების ასახვისას რუსული პრესა ხშირად არა მარტო აუბრალოებს რეალურ მოვლენებს, არამედ შეგნებულადაც ამახინჯებს.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოქმედებას მოსთხოვდნენ რუსეთის ხელმძღვანელობას ჩვენი ნაციონალ-პატრიოტები, მაგალითად, ისინი, ვინც დღეს მოსკოვლებს ეპატიჟება აფხაზეთის მხარდასაჭერ მიტინგებზე, რომ აფხაზეთიდან კი არა, ვთქვათ, ბაშკირეთიდან მოეწყოთ დივერსიული გამოხდომები ტერორისტებს, ანდა იმავე ბაშკირეთში ტყვედ ჰყავდეთ რუსეთის მინისტრთა კაბინეტის წევრები ისე, როგორც აფხაზეთში ჰყავდათ დატყვევებული ზვიადისტებს ქართველი მინისტრები კავსაძე და გვენცაძე. და, ბოლოს, რუსეთის ერთ-ერთ რესპუბლიკაში დეპუტატებს, რომლებიც მოსახლეობის 17 პროცენტის ინტერესებს წარმოადგენენ, მიეღოთ ამ რესპუბლიკის კონსტიტუციის შეცვლის გადაწყვეტილება ეთნიკური უმრავლესობის საზიანოდ, როგორც ეს 13 ივნისს გააკეთეს აფხაზმა დეპუტატებმა ქართველი დეპუტატების დაუსწრებლად.

რუსეთის ნაციონალ-პატრიოტთა „ორმაგი ანგარიშის“ მიზეზებზე დიდი დაფიქრება არ არის საჭირო. ისინი თვითონვე ხსნიან მას, როცა აცხადებენ: ხომ დაანგრია შევარდნაძემ საბჭოთა კავშირი, ახლა კი მისი საქართველო დაინგრევაო.

რა თქმა უნდა, რითაც უნდა ეხელმძღვანელათ საქართველოს ლიდერებს, მათ სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს: მუქარით, პოლიტიკური დაწოლით, დამსჯელი ექსპედიციებით არ შეიძლება ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება.

მაგრამ განა დასაშვებია მეორენაირი პოლიტიკა — ულტიმატუმების, ტერორიზმის წაქეზების, საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის გამოყენება აფხაზეთში პირადი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით? ყველაფერი ეს იყო არძინბას მოქმედებაში და მათ აფხაზები არანაკლებ დააყენეს ეთნოციდის ზღვარზე, ვიდრე ქართული საჯარისო ნაწილების მოქმედებამ.

თითქოს ეთნიკური უმცირესობის ლიდერები სხვებზე მეტად უნდა იყვნენ მზად კომპრომისულ გადაწყვეტილებათა ძიებისთვის, ეწადოთ მშვიდობის მიღწევა. მაგრამ 3 სექტემბრის შეთანხმების მოქიშპე მხარეთა დაშორიშორების საჭირო პირობების ხელშემწყობი შერეული კომისიის რუსეთელ მონაწილეთა აზრით, აფხაზეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს სრულებითაც არ გამოუჩენიათ ქართველებზე მეტად სწრაფვა მშვიდობისაკენ. ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ მრავალმხრივი საგარეო დახმარება, რომელსაც აფხაზ ლიდერებს უწევენ, მათ შეუზღუდავი შესაძლებლობების ილუზიებს უჩენს და დათმობებისა და კომპრომისებისკენ არ ადგმევინებს ნაბიჯებს.

აფხაზების ძირითადი მოკავშირეა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია. სწორედ მისმა „ბოევიკებმა“ დაიპყრეს გაგრა, განთიადი და ლესელიძე. აფხაზებს მცირე დახმარებას როდი უწევს ზვიადისტური ოპოზიცია, რომელიც მოქმედებს პრინციპით: „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“, მათი სამხედრო გამოხდომები დასავლეთ საქართველოში და აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლების სინქრონიულად ხდება.

და, ბოლოს, აფხაზეთში თავიანთ სრულ მხარდაჭერად აღიქვეს რუსეთის უზენაესი საბჭოს 25 სექტემბრის გადაწყვეტილება. ეს იმავე დღეს განაცხადა არძინბამ რუსეთის ტელევიზიით გამოსვლის დროს, და ამ დოკუმენტის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაგრის მიმართულებით ბრძოლების დაწყების თვით ფაქტიც კი უკვე ბევრისმთქმელია.

რას მიაღწიეს რუსეთის პარლამენტარებმა თავიანთი „დამაშოშმინებელი“ დადგენილებით? მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს რუსეთში ორხელისუფლებიანობის (ან უხელისუფლობის) ფაქტი: პარლამენტის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება რუსეთის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ სამმხრივ შეთანხმებას აფხაზეთის კონფლიქტის რეგულირების თაობაზე. მან კიდევ უფრო გაუძლიერა ქართულ მხარეს ეჭვი რუსეთის პოზიციის ორპირულობაზე, ხოლო შეუწყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოში ლიბერალური ძალების პოზიციის გაუარესებას და ქორების პოზიციის გაძლიერებას. ამ გადაწყვეტილებამ ბიძგი მისცა კონფლიქტის პროცესის გაფართოებას, შექმნა პირობები რუსეთის ტერიტორიაზე მისი გადასვლისა.

კაცმა რომ თქვას, მრავალდღიანი მიტინგი ნალჩიკში სხვა არაფერია, თუ არა აფხაზეთის კონფლიქტის ექო. და არა მარტო იმიტომ, რომ მის საბაბად იქცა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერის მუსა შანიბოვის, აფხაზეთში ჩრდილოკავკასიელთა ნებაყოფლობითი ლაშქრობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის დაპატიმრება. მთავარი ისაა, რომ ხალხის ვნებები, რომლებსაც დიდხანს აღვივებდნენ აფხაზთა მოძრაობის მხარდასაჭერად, კონტროლს გარეთ დარჩა და უკვე ყაბარდო-ბალყარეთში აბობოქრდა.

გვინდა, იმედი ვიქონიოთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტიდან ავარდნილი ალი არ გადაიზრდება ნალჩიკის მიტინგზე უფრო ძლიერ ხანძრად. მაგრამ უკვე თავად ეს მიტინგი გახდა ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავების წყარო: მიტინგზე ყაბარდოელთა მოთხოვნების გამო თავიანთ შეშფოთებას გამოთქვამდნენ ბალყართა ეროვნული მოძრაობის ლიდერები. ბალყარები ხომ ჩრდილოეთ კავკასიაში თურქულენოვან ხალხთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია, და თუ ყაბარდოელებთან (ისინი ხალხთა ადიღეურ-აფხაზური ჯგუფის წარმომადგენლები არიან) მათი ურთიერთობის გამწვავებას ადიღეურ და თურქულ ეთნიკურ გაერთიანებათა გათიშვა მოჰყვება, ამის შედეგის წარმოდგენაც კი შემზარავი იქნება.

საბედნიეროდ, ჯერჯერობით ეს მხოლოდ ჰიპოთეზური შესაძლებლობაა, და გონივრული პოლიტიკის პირობებში ასეთი გათიშვა შეიძლება თავიდან ავიცილოთ, ხოლო რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სერიოზულ გამწვავებას, — ეს უკვე მომხდარი ფაქტია.

არ შეიძლება არ ვაღიაროთ საქართველოს მხარის ბევრი პრეტენზიის სამართლიანობა. განა დასაგმობი არ არის სახელმწიფო, რომელიც ურიგდება იმას, რომ მისი მოქალაქენი უკანონოდ, იარაღით ხელში გადადიან საზღვარს და მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებაში მეორე მხარის ტერიტორიაზე? ამასთან საქმე ეხება არა ერთეულებს, არამედ ასობით მოიერიშეს, რომლებიც შეიარაღებულნი არიან არა მარტო ავტომატებითა და თოფებით, არამედ აგრეთვე სატანკო და საარტილერიო დანადგარებით. და როგორ შეუძლია რუსეთს — გაეროს უშიშროების წევრს, შეასრულოს საერთაშორისო სტაბილურობის გარანტის ფუნქცია, თუ მას არ ძალუძს უზრუნველყოს უშიშროება თავისივე საკუთარ ტერიტორიაზე? როგორ შეგვიძლია უსაფრთხოდ ვიგრძნოთ თავი ისეთ სახელმწიფოში, რომელშიც მოქმედებენ უკანონო, თავით ფეხამდე შეიარაღებული რაზმები — ნამდვილი არმია, რომელმაც გუშინ უბედურების ზონად გამოაცხადა თბილისი, ხვალ კი შეიძლება ასეთივე ზონად გამოაცხადოს მოსკოვი?

ვინ იცის,ეგებ რუსეთისათვის, და საერთოდ მთელი პოსტსაბჭოური სივრცისათვის აფხაზეთის კონფლიქტის ყველაზე საშიში შედეგი გახდება მოხალისეთა სამხედრო რაზმების უმართავი განვითარება, რომლებიც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიიდან მეორეზე გადადიან ეთნიკურად მონათესავე ანდა პოლიტიკურად ახლობელი ჯგუფების დასახმარებლად. ამან შეიძლება მოშალოს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის მთელი სისტემა, გამოიწვიოს ეთნოსშორისი ომების უწყვეტი ჯაჭვი. გარდა ამისა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში ასეთ ფორმირებათა განვითარების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადრე თუ გვიან მათი მიზნები, რომლებსაც ეთნიკური და პოლიტიკური სოლიდარობის, ეროვნული განთავისუფლების მისაღწევად ისახავდნენ, ადგილს უთმობენ წმინდაწყლის ანგარებით ზრახვებს, ხდება ამ რაზმების გადაგვარება და გადაქცევა მაფიოზური სტრუქტურების დანამატად.

აფხაზეთში მთელი რიგი დასახლებული პუნქტების დაპყრობით მოხალისეები თითქმის საქვეყნოდ ამტკიცებენ, როგორ სძლევს ძალა სამართალს, და ამით გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებრივ მართლშეგნებაზე.

რუსეთის ვალია არ გაამარჯვებინოს ძალას, რომელიც ფეხქვეშ თელავს სამართალს, უნდა უზრუნველვყოთ რუსეთის მოქალაქეთა შეიარაღებული რაზმების გამოყვანა კონფლიქტის ზონიდან, და რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ეს დაღვრილი სისხლის შემდეგ, აუცილებელია დავუბრუნდეთ 3 სექტემბრის ხელშეკრულების პირობებს, როგორც აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომი პოლიტიკური მოწესრიგების გარდაუვალ ეტაპს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ფოკუსშია საქართველო

დასავლეთის ყველა დიდი საინფორმაციო სააგენტო ფაქტობრივად გადაცემას იწყებს საქართველოში პარლამენტის თავმჯდომარედ ედუარდ შევარდნაძის არჩევის ცნობით. ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ძალზე დიდი იყო ამომრჩეველთა აქტიურობა მიუხედავად იმისა, რომ არ შეწყვეტილა ცეცხლი აფხაზეთში, დაძაბული ვითარებაა დასავლეთ საქართველოსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში, ხოლო ზოგ რაიონში არჩევნები არ გამართულა. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ძალზე დიდი იყო ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერა, რომ ზოგან მას ამომრჩეველთა 99 პროცენტმა დაუჭირა მხარი და მან „ხალხის მანდატი“ მიიღო. ხაზს უსვამენ, რომ არჩევნები ჩატარდა სოხუმში და აფხაზეთის ზოგიერთ რაიონში, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ სანდრო კავსაძემ საეჭვო გახადა ბატონ ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა პრეზიდენტ ბორის ელცინთან იმის გამო, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ზოგიერთი წევრი შეხვედრის წინააღმდეგია.

რომის პაპის ვიზიტი

დომინგოს რესპუბლიკაში ბრძანდება რომის პაპი იოანე პავლე II. დედაქალაქში გამართულ მესაში მონაწილეობდა 50 ათასზე მეტი დომინგოელი. ამერიკის აღმოჩენის 500 წელთან დაკავშირებით პაპმა „მშვიდობისა და იმედის მიმართვა“ გაუგზავნა ყველა ლათინურამერიკელს, ამასთანავე დიდი წუხილი გამოთქვა, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი დღემდე სიღატაკეში ცხოვრობს. პაპმა დააყენა წინადადება შეიმუშაონ „კონტინენტური დონის ეკონომიკური პროექტი“, რომლის განხორციელებას ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის ინტეგრაცია მოჰყვებოდა და იმპულსს შემატებდა რეგიონის სახელმწიფოების კავშირურთიერთობას დანარჩენ მსოფლიოსთან.

თითო აბზაცით

● **ლიტვის** დედაქალაქ ვილნიუსში უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე განიხილავენ საკითხს „კონსტიტუციის ტექსტის აპრობირებისა და მისი 25 ოქტომბრის რეფერენდუმზე გატანის შესახებ“. ახალი კონსტიტუციის პროექტის მომზადება მწვავე პოლიტიკური ბრძოლის ატმოსფეროში მიმდინარეობს.

● **ჩინეთის** დედაქალაქ პეკინში მუშაობა დაიწყო ჩინეთის კომპარტიის XIV ყრილობამ. მოხსენებით გამოვიდა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ძიან ძემინი. მოელიან, რომ შეიტანენ ცვლილებებს პარტიის წესდებაში, გააუქმებენ მრჩეველთა კომისიას, რომელშიც პარტიის ვეტერანები შედიან.

დღეს მცხეთობაა, გილოცავთ!

რელიგიური დღესასწაული მცხეთობა (სვეტიცხოვლობა) იმართებოდა მცხეთის კათედრალურ ტაძარში სვეტიცხოველში 1 ოქტომბერს, ხოლო 1918 წლიდან, როდესაც შემოღებულ იქნა ახალი სტილი, იგი აღინიშნება 14 ოქტომბერს.

დღესასწაული დაწესებულია ტაძარში აღმართული საკულტო სვეტის (სვეტიცხოველი) და ქრისტეს კვართის სადიდებლად.

ლეგენდის მიხედვით, ქრისტეს კვართი წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ. კვართი ელიოზ რაბინმა მცხეთაში ჩამოიტანა და თავის დას, მართლმორწმუნე სიდონიას გადასცა, რომელმაც კვართი მკერდზე მიიხუტა და სული განუტევა.

ელიოზმა სიდონია კვართითურთ მცხეთაში დაკრძალა. საფლავზე ამოვიდა ხე, რომელიც ეკლესიის ასაშენებლად მოუჭრიათ ხუროებს. ხისგან დამზადებულ იქნა შვიდი სვეტი, მათგან ერთი — საკვირველი და სასწაულმოქმედი. ი აღმართვა ვერ მოხერხდა. მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვა-ვედრების შემდეგ ხე ანგელოზებმა აღმართეს იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი იყო დაფლული. ხის ძირში მოედინებოდა მირონი, რომელიც მრავალ სასწაულებს ახდენდა. თუ დაჭრილი ნადირ-ფრინველი შეეხებოდა ამ ხეს, განიკურნებოდა, ასევე ავადმყოფებიც. მას ეწოდა სვეტიცხოველი. გაქრისტიანებულმა მირიან მეფემ წმ. ნინოს რჩევით ამ ადგილზე ხის ეკლესია ააგო. V საუკუნის II ნახევარში ვახტანგ გორგასალმა ააშენა ქვის ბაზილიკა, ხოლო XI საუკუნეში ქართლის კათალიკოსმა მელქისედეკმა ახალი ტაძარი ააგო (ხუროთმოძღვარი არსუკისძე). იგი 19 წლის მანძილზე შენდებოდა (1010-1029).

სვეტიცხოველი საპატრიარქო ტაძარია. საქართველოს ეკლესია, ისევე როგორც სხვა საპატრიარქოები, მირონს იერუსალიმიდან ღებულობდა, რაშიაც დიდ გასამრჯელოს უხდიდა იერუსალიმის პატრიარქს. IX საუკუნიდან აწყურის ეპისკოპოსმა, გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ ეფრემ მაწყვერელმა („დიდი ეფრემი") იერუსალიმის პატრიარქის ნებართვით მცხეთაში მირონის კურთხევის უფლება მიიღო. როგორც ცნობილია, მირონი მზადდება მხოლოდ დამოუკიდებელ ეკლესიაში. ეს არის ეკლესიის ავტოკეფალიის ერთ-ერთი ნიშანი.

საინტერესოა, რომ საქართველოში მირონის კურთხევის წესი დაადგინა მეფე არჩილ პირველმა. 446-450 წლებში. მირონი იხარშებოდა მცხეთის სამთავრო ტაძარში.

როდესაც 1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიამ სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში მოიხსნა საუკუნოვანი მონობის ბორკილები და აღადგინა ავტოკეფალია, მირონის დამზადების უფლება მიიღო. იგი დამზადებული იქნა ახლად არჩეული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II კურთხევით.

დამოუკიდებელ საქართველოში პირველი წმინდა მირონი დამზადებულ იქნა 1920 წლის 2 აპრილს (მირონის ხარშვა იწყება აღდგომის წინ, დიდ ორშაბათს). მირონი აკურთხა კათოლიკოს პატრიარქმა ლეონიდემ.

ამჟამადაც საქართველოში მირონს აკურთხებს მისი უწმინდესობა კათოლიკოს-პატრიარქი.

სულიკო ნუცუბიძე.

უქმე ყოველთა!

სურათზე: მცხეთა. სვეტიცხოველი.

ვარლამ გენზიურის ფოტო

მორის ფოცხიშვილი

ჩვენ ვართ შვილები ერთი ღმერთისა

ჩვენ ვართ შვილები ერთი ღმერთისა,
სისხლი და ხორცი ერთმანეთისა, —
ჩვენ ვართ შვილები,
ჩვენ ვართ შვილები,
ჩვენ ვართ შვილები,
ერთი ღმერთისა!

ვით სიყვარული ერთი გულისა,
გულისა, მუდმივ სასწაულისა,
ღმერთში ვიწყებით,
ღმერთში ვთავდებით,
სხვა არც ვინაა ჩვენი თავდები,
ზეაღმართული რუის-ურბნისად.

სხვა არც ვინაა ჩვენი თავდები,
სულის სნეულის გლოვა-ურვის ჟამს,
ჩვენ ვართ სანთლები,
ჩვენ ვართ სანთლები
ერთი უფლისა!

ჩვენ ვართ შვილები ერთი ღმერთისა,
ღმერთში ვსულდგმულობთ,
ღმერთში ვმაღლდებით,
ღმერთში ვთენდებით, ღმერთში ვღამდებით,
ვმარცხდებით, როცა ღმერთში ვმარცხდებით, —
სულაც სისხლი გვდის ერთი უფლისა.

სულაც სისხლი გვდის ერთი ღმერთისა,
შუბლზე გვაჩნია ერთი ნახმლევი,
და თუ ვრიგდებით,
და თუ ვთანხმდებით,
ღმერთში ვრიგდებით, ღმერთში ვთანხმდებით,

ღმერთში ვრიგდებით, ღმერთში ვთანხმდებით,
და კვლავ ღმერთია ჩვენი გამგები,
და კვლავ ღმერთია ჩვენი გამგები, —
ჩვენ ვართ შვილები ერთი ღმერთისა!

ჩვენ ვართ ფრესკები ერთი ტაძრისა,
იდუმალება ერთი აღთქმისა,
ერთიმეორის შუქ-ჩრდილები ვართ,
ჩუქურთმები ვართ ერთი ენისა, —
და ვართ სურვილი ერთად ფრენისა.

ჩვენ ვართ ფესვები ერთი აზრისა,
ჩვენ ვართ მტევნები ერთი ვაზისა,
მაჭარი ერთი საწნახელისა,
ანუ ბადაგი ერთი ქვევრისა, —
სიმღერები ვართ ერთმანეთისა!

საფეხურები ერთი კიბისა,
კარ-ფანჯრები ვართ ერთი სახლისა,
ნეკნები ერთი ხერხემლისა,
ნიჩბები ერთი დიდი ნავისა, —
ჩვენ ვართ შვილები ერთი ღმერთისა!

ვით აკვნესება ერთი ქნარისა,
სიმღერე სულის სიმხურვალისა, —
ჩვენ ვართ წყურვილი
ერთი დილისა და
ნაყოფი ერთი გრძელი ღამისა...
ჩვენ ვართ შვილები ერთი ღმერთისა.

ვითარც ჩანჩქერი ერთი მზისა და
ვითარც ნათელი ერთი მთვარისა,
ჩვენ რომ გვეძლევა და გვესაკმარისა,
ის, რაც არის და არა არის რა,
და მაინც არის არსად ცარისა, —
ჩვენ ვართ შვილები იმ სინათლისა!

რაც იყო, ანუ რაც კვლავ იქნება, —
გრემად,
ზედაზნად,
მცხეთად,
ხერთვისად,
ერთიმეორის სახეცვლილება,
ვითარც ასლები ერთმანეთისა...
ჩვენ ვართ რითმები ერთი ლექსისა!

ჩვენ ვართ ყვავილი ერთი მამულისა,
ნამსხვრევები ვართ ერთი სარკისა,
ერთი ნალვერდლის ნაკვერჩხლები ვართ,
ნაპერწკლები ვართ
ერთი გრდემლისა, —
გზები ვართ, გზები, ერთმანეთისა!

რა დაგვრჩენია,
სულაც ერთი სვლა,
ერთხელ დაქნევა გაშლილ ფრთებისა,
და რა თქმა უნდა,
ვერც ვინ შეგვრისხავს,
რომ მივაშურებთ ერთიმეორეს,
როგორც შვილები ერთი ღმერთისა!

ერთ დროს უაზროდ დაფანტულების,
დგება წუთები ერთად შეყრისა, —
ყველა ერთად და
ყველა უკლებლივ,
ერთი მიზნით და ერთი უფლებით...
ჩვენ ვართ შვილები ერთი ქვეყნისა!
ღვთის სამართალი ღმერთში იცნობა,
უღირს ღირსეულს
ვის რა ეღირსა, —
უნდა ახსოვდეს კაცობრიობას,
უნდა ახსოვდეს კაცობრიობას, —
შვილები რომ ვართ ერთი ღმერთისა!

თვალები რომ ვართ ერთმანეთისა,
მკლავები რომ ვართ ერთმანეთისა,
ხატები რომ ვართ ერთმანეთისა
და ძმები რომ ვართ ერთმანეთისა!
ჩვენ ვართ შვილები,
ჩვენ ვართ შვილები,
ჩვენ ვართ შვილები
ერთი ღმერთისა!

მიზანთან ახლოს

ფიშერ-სპასკის მატჩი

კიდევ ერთმა „სამუშაო კვირამ" განვლო „XX საუკუნის დიდ მატჩ-რევანშში" რ. ფიშერსა (აშშ) და ბ. სპასკის (საფრანგეთი) შორის. 18 პარტიის შემდეგ დამაჯერებლად ლიდერობს ფიშერი ანგარიშით 7:3 (=8). იგი მიუახლოვდა მიზანს. შეგახსენებთ, რომ თამაში გრძელდება 10 მოგებამდე, ყაიმების ჩაუთვლელად.

მიმდინარე „სამუშაო კვირაში" (7-11 ოქტომბერი) მხოლოდ სამი პარტია გათამაშდა. სპასკი უქეიფოდ შეიქნა მეთექვსმეტე პარტიის შემდეგ და მეორე „ტაიმ-აუტი" აიღო.

სპასკიმ იმედიანად დაიწყო მეთექვსმეტე პარტია. წინა კვირას კარგად აეწყო თამაში. ფიშერი, პირიქით, უკმაყოფილო იყო თავისი შედეგებით, ამიტომ ამჯერად სპასკის უკომპრომისო ბრძოლა შესთავაზა. მან ურთულესი სადებიუტო სისტემა— ბენონის დაცვა გაითამაშა. სხვადასხვა მხარეზე როქის შემდეგ პოზიცია უკიდურესობამდე დაიძაბა. ფიშერმა შეძლო ინიციატივის დაუფლება და იერიშის აწყობა. სპასკი გააფთრებით იბრძოდა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. ფიშერმა აიძულა იგი დაეთმო პარტია.

იმედების გაწბილებამ ააფორიაქა სპასკი და მან ექიმებს დამატებითი დასვენების დღე სთხოვა. ასე რომ, მეჩვიდმეტე პარტია 8 ოქტომბრის ნაცვლად 10 ოქტომბერს გაიმართა.

ამ პარტიაშიც ფიშერი თავიდანვე რთული თამაშისკენ მიილტვოდა. სიცილიურ დაცვაში, რომელიც სპასკიმ აირჩია, მან ეგრეთ წოდებულ დახურულ სისტემას მიმართა. მწვავე თამაშში სპასკიმ ფიშერს ორი კუს უპირატესობა დაუთმო, რაც ამერიკელმა მოჭადრაკემ ჩინებულად გამოიყენა. მან თანდათან დაასუსტა სპასკის ლაზიერის ფრთა და ენდშპილში გადასვლით კვლავ გაიმარჯვა. ეს იყო მისი მეშვიდე მოგება.

მხოლოდ მეთვრამეტე პარტიაში შეძლო სპასკიმ მეტოქის მოგერიება. ფიშერი არ ცხრებოდა. იგი მხოლოდ მაშინ შეურიგდა ყაიმს (36-ე სვლაზე), როცა დაფაზე ფიგურები თითქმის აღარ დარჩა.

როგორც ხედავთ, მატჩის ფინიში მღელვარედ მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, ფიშერისა და სპასკის ურთიერთობა კვლავ მეგობრული რჩება. ასეც უნდა იყოს ჭეშმარიტ მეგობრებს შორის. აი, ამის მაგალითიც:

მეთოთხმეტე პარტიაში დიდოსტატებმა სწრაფად გაცვალეს ლაზიერები და თანაბარ ენდშპილში გადავიდნენ. მე-16 სვლაზე ფიშერმა სპასკის ყაიმი შესთავაზა, რომელიც სპასკიმ მყისვე მიიღო. მაგრამ როდესაც ფიშერმა დასძინა: „ჩვენ ახლა მეორე პარტიას ვითამაშებთ. მე თეთრებით ვიქნები", სპასკიმ უარი თქვა ყაიმზე. მას გაახსენდა, რომ მატჩის დებულებით თუ პარტია ერთ საათში დამთავრდა, მეტოქენი ვალდებული არიან მომდევნო პარტია დაიწყონ. მას კი თამაში არ სურდა. მან ასე მიმართა ფიშერს: „ბობი, შენ გსურს მომკლა მეორე პარტიაში?". ფიშერმა გაიღიმა და დიდსულოვნად განაგრძო თამაში. 33-ე სვლაზე პარტია მაინც ყაიმით დამთავრდა. სპასკიმ ბოდიში მოუხადა მეგობარს, რომ უტაქტოდ მოიქცა — ჯერ მიიღო ყაიმი, მერე კი უარი თქვა მასზე.

კვლავ დიდია ინტერესი ფიშერ-სპასკის მატჩისადმი, თუმცა ყველა გრძნობს ფიშერის უპირატესობას. ბოლო პარტიებში სპასკი ვეღარ ართმევს თავს რთულ პრობლემებს. ამიტომ ჟურნალისტები ახალ მეტოქეს „ეძებენ" ფიშერისთვის. მას კი თავად არაფერს ეკითხებიან. გავრცელდა ხმა, რომ შესაძლოა მოეწყოს უნიკალური მატჩი ფიშერსა და დიდოსტატი ქალის, 16 წლის იუდით პოლგარს შორის. ამ უნიჭიერეს გოგონას ქალთა შორის უმაღლესი რეიტინგი აქვს. ამას წინათ კი იგი უნგრეთის ჩემპიონი და საერთაშორისო დიდოსტატი გახდა ვაჟთა შორის. შესაძლებელ მატჩს სპონსორებიც გაუჩნდა. მათ ჯილდოდ 2 მილიონი დოლარი შესთავაზეს ორგანიზატორებს. სხვათა შორის, ფიშერთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა მსოფლიოს ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა. მისი აზრით, ფიშერი კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერეს მოჭადრაკედ.

ერთი სიტყვით, თუ ფიშერი დარჩა საჭადრაკო სარბიელზე, განაგრძო თამაში, ტურნირებში მონაწილეობა ბევრი საინტერესო შეჯიბრების მხილველნი გავხდებით.

დღეს, 14 ოქტომბერს გაიმართება მეცხრამეტე პარტია, რომელშიც თეთრებით სპასკი ითამაშებს.

ნინო იმესაშვილი.

ცისფერ მოედანზე

თბილისში გაიმართა საქართველოს წყალბურთელთა ჩემპიონატის სუპერფინალური შეხვედრები.

ოქროს მედლებისათვის იბრძოდნენ წინასწარ ტურნირში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები— თბილისის „დინამო" და სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველ მატჩში სტუდენტებმა შეძლეს გამოცდილი მეტოქის დამარცხება — 7:6, მაგრამ განმეორებით ორთაბრძოლაში დინამოელებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს ანგარიშით 13:8 და ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ.

ბრინჯაოს მედლები გაითამაშეს წინასწარ შეხვედრებში მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა. თბილისის „მართვე"-მ ორჯერ სძლია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალბურთელებს — 12:8, 11:10 და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ოფიციალური ცხრილი

ფულისა და ნივთების მომგებიანი ანაბრების მოგებათა მე-18 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. თბილისის დიდუბის რაიონში 1992 წლის 8 ოქტომბერს, მოგება ხვდა საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის დაწესებულებებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს

ანგარიშის №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებში ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშის №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებში ანაბრის საშუალო თანხასთან
ა—1	200%	ა—550	25%
ა—66	25%	ა—578	100%
ა—106	50%	ა—628	25%
ა—140	25%	ა—674	25%
ა—182	25%	ა—711	50%
ა—206	25%	ა—758	25%
ა—268	25%	ა—797	25%
ა—319	25%	ა—818	100%
ა—351	25%	ა—878	25%
ა—386	25%	ა—902	25%
ა—437	25%	ა—951	25%
ა—462	25%	ა—978	25%
ა—509	25%		

შენიშვნა: თუ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანგარიშის რიცხვი აღემატება 1000-ს, ყველა მომდევნო ათასეულში მოგება ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია ე. ი. ა—1, ა—1001, ა—2001, ა—66, ა—1066, ა—2066 და ა. შ.

კომისიის თავმჯდომარე — თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ვ. შვილდაძე,

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის დეპოზიტის, ანაბრებისა და უნაღდო ანგარიშსწორების სამმართველოს უფროსის მოადგილე

ვ. მემანიშვილი,

პასუხისმგებელი მდივანი — საქ. რესპ. სახ. შემბანკის დეპოზიტის, ანაბრებისა და უნაღდო ანგარიშსწორების სამმართველოს უფროსი ეკონომისტი

დ. ჯულუხიძე.

ოფიციალური ცხრილი

მომგებიანი ანაბრის მოგებათა მე-100 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. თბილისის დიდუბის რაიონში 1992 წლის 8 ოქტომბერს, მოგება ხვდა საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის დაწესებულებებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშის №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებში ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშის №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებში ანაბრის საშუალო თანხასთან
ვ—34	25%	ვ—559	25%
ვ—58	25%	ვ—599	25%
ვ—118	25%	ვ—620	25%
ვ—148	50%	ვ—647	25%
ვ—180	25%	ვ—685	25%
ვ—222	25%	ვ—728	25%
ვ—279	52%	ვ—764	200%
ვ—309	50%	ვ—837	25%
ვ—336	25%	ვ—874	100%
ვ—399	100%	ვ—892	25%
ვ—414	25%	ვ—936	25%
ვ—478	25%	ვ—973	25%
ვ—482	25%	ვ—	

შენიშვნა: თუ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანგარიშის რიცხვი 1000-ს აღემატება, ყველა მომდევნო ათასეულში მოგება ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია ე. ი. ვ—34, ვ—1034, ვ—2034, ვ—58, ვ—1058, ვ—2058 და ა. შ. ფულისა და ნივთების მომგებიანი ანაბრით მოგებისას მოგებათა ანაზღაურება ხდებოდა შესაბამისად ღირებულების სამრეწველო საქონლით, ამჟამად სამრეწველო საქონლის ცენტრალიზებული მომარაგების სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით, ანაზღაურება მოხდება მხოლოდ ნაღდი ფულის გაცემით ან მეანაბრეთა პირად ანგარიშზე მოგებული თანხის ჩარიცხვის წესით.

კომისიის თავმჯდომარე — თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ვ. შვილდაძე,

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის დეპოზიტის, ანაბრებისა და უნაღდო ანგარიშსწორების სამმართველოს უფროსის მოადგილე

ვ. მემანიშვილი,

პასუხისმგებელი მდივანი — საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის დეპოზიტის, ანაბრებისა და უნაღდო ანგარიშსწორების სამმართველოს უფროსი ეკონომისტი

დ. ჯულუხიძე.

პრობლემა

ლუის ენრიკეს მონატრება,

ანუ ხომ არ დადგა დრო ბენზინის ჩვეულებრივი წყლისა და რაღაც საიდუმლო ქიმიური ნივთიერების ნარევით შეცვლისა?

ზაურ მაკარაძე.

უბენზინობამ და, საერთოდ, უსაწვავობამ ჩვენს ისედაც არეულ-დარეულ ცხოვრებას მრავალი ახალი, თითქმის გადაუჭრელი პრობლემა შემატა. ეს იმდენად ცნობილი პრობლემებია, რომ მათი გამეორება, უბრალოდ, დროისა და სისხლისფასა ქაღალდის ფუჭი ხარჯვა იქნებოდა. საწვავის დეფიციტის ირგვლივ მრავალი ჭორი და სიმართლე დადის, მაგრამ საქართველო ტრადიციულად ისეთი ქვეყანაა, სადაც მავანთა თაღლითობის დასაბუთება მეტად ძნელდება. ამიტომ ჭორებს არც მე „ავყვები" და თავს განსაცდელში არ ჩავიგდებ. ისე კი დავიმოწმებ გასული წლის შემოდგომაზე ბატონ თენგიზ სიგუას მიერ საფრანგეთის „მონდისათვის" მიცემულ ინტერვიუს, სადაც ის ამხილდა თბილისის ნავთობბაზაში მოკალათებული ექსპრეზიდენტის მომხრე მავნებლებისა და თაღლითების დანაშაულებრივ საქმიანობას. გაპატიოსნდნენ, მას შემდეგ ნავთობბაზის მუშაკები, თუ არა, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ხსენებული ნავთობბაზისა და, საერთოდ, საქართველოს ნავთობბაზების მიმართ მას შემდეგ სულაც არ შეცვლილა, პირიქით, გაუარესდა კიდეც. სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ უსაწვავობის მიზეზთა მიზეზი, რასაკვირველია, საქართველოს მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფინანსური მდგომარეობაა. აფხაზეთის ომი, დასავლეთის რკინიგზის გადაჭრილი არტერია, ბლოკადა ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებისა და, რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან, არცთუ ისე სახარბიელო და ნორმალური ურთიერთობა აზერბაიჯანთან, სამამულო ნავთობის მოპოვების კატასტროფული შემცირება და ასე შემდეგ. თუმცა არაოფიციალური ინფორმაციის წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სართიჭალაში მოპოვებული ნავთობის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ვალუტაზე გაიყიდა... ისიც არ არის დასამალი, რომ სარფის საბაჟოს გზით თურქეთში გავიდა საკმაო რაოდენობის ბენზინი და დიზელის საწვავი. ყოფილი საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის საწვავის ბაზრებზე არსებულმა ფასთასხვაობამ ჩვენი ჩრდილოვანი ეკონომიკის სუბიექტებს მუქთა ფულის გაკეთების კარგი შესაძლებლობა მისცა. მოგეხსენებათ, ტონა ბენზინი ჩვენთან კარგა ხანს 20-22 ათასი მანეთი ღირდა, მსოფლიო, იგივე თურქეთის ბაზარზე კი ეს ციფრი გაცილებით დიდია.

ახლა თუ ისა, საწვავი არ არის. „შავ ბაზარზე" მისი ფასი ძალიან მაღალია. ამიტომ რესპუბლიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ბევრი საწარმო-დაწესებულება გაჩერების პირას აღმოჩნდა. ერთი მათგანია საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". ქვეყანაში ომია, ხალხს ოპერატიული, სწორი ინფორმაცია ესაჭიროება. ამ ინფორმაციების შემცველი რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების დიდი ნაწილი კი სწორედ ამ გამომცემლობაში „იცვრება".

— იმისათვის, რომ გამომცემლობამ გამართულად იმუშაოს და ტექნოლოგიური ციკლი არ დაირღვეს, თვეში 14 ტონამდე ბენზინი გვჭირდება,— მეუბნება გამომცემლობა „სამშობლოს" დირექტორის მოადგილე ჯემალ ხუჯაძე. — თხოვნით შევედით მთავრობაში, რომელმაც ბენზინით პირველ რიგში დასაკმაყოფილებელი ობიექტების სიაში ჩაგვრთო. სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" თავმჯდომარემ გერმანე მეძმარიაშვილმა თბილად მიგვიღო, გამოგვიყო ბენზინი, მაგრამ რად გინდა?! თბილისის ნავთობბაზის დირექტორის მოადგილემ გუგული სიხიტაშვილმა ახლოს არ გაგვიკარა. საინტერესოა, ვის ემორჩილება ეს კაცი? ნუთუ არავის არ ცნობს? ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინოს რაშია საქმე!

საქმის რაობა ვერსად, ვერც „საქნავთობპროდუქტში" გაგვაგებინეს. გულახდილად გვითხრეს, იქ (ე. ი. ნავთობბაზაში) ვერც სიხიტაშვილი და ვერც სხვა სიტუაციას ვერ ფლობსო! თუმცა შეგვპირდნენ, გამომცემლობა „სამშობლო" ბენზინს უხათუოდ მიიღებსო.

ზამთარი მოდის. უშუქობას თუ უსაწვავობას ისიც დაემატა, რომ ნახევარ საქართველოს სიცივეში სულის ამოხდომა ელოდება. საქმის არსში ჩასაწვდომად და რესპუბლიკის საწვავით მომარაგების პერსპექტივებზე სასაუბროდ კვლავ „საქნავთობპროდუქტს" ვეწვიე. მაგ ამბავში ის არის კარგად გარკვეული — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" თავმჯდომარის მოადგილეზე ბატონ თამაზ ნიკურაძეზე მიმითითეს. ის ახალი დაბრუნებული იყო რუსეთიდან, ამიტომ ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა.

— დასანანია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენმა მატარებელმა ცარიელი ვაგონებით უკან ჩაიარა. ნავთობპროდუქტების მომარაგების საუკეთესო დრო ივლის-აგვისტო-სექტემბერია. ჩვენ ეს დრო დავკარგეთ. რუსეთში დიდხანს ლაპარაკობდნენ ფასების მომატებაზე. აჭიანურებდნენ, ყველა მიზეზს ეძებდნენ, რომ ნავთობპროდუქტები არ დაეტვირთათ. ახლა, ნახეთ ფასები, რომლებიც ამ დღეებში მახაჩყალის ავტოგასამართ სადგურზე იყო: A-76 მარკის ბენზინი — 26 მანეთი, A-72 — 25, A-93 — 31, დიზელის საწვავი — 22 მანეთი. მახაჩყალიდან ეს საწვავი თბილისამდე რომ ჩამოაღწევს, ადვილად მიხვდებით, რა ფასიც დაედება.

როგორც ბატონმა თამაზმა მითხრა, წინა კვირაში არმავირიდან შემოვიდა 20 ცისტერნა ბენზინი, გზაშია უფაში დატვირთული 8100 ტონა, 29 სექტემბერს არმავირში დაიტვირთა — 1000 ტონა, მახაჩყალიდან ვერ შემოაქვთ რამდენიმე თვის წინ კონცერნის მიერ შესყიდული 1000 ტონა საწვავი, ამ დღეებში არმავირიდან დიზელის საწვავის შემოსვლას ელოდებიან.

საქმეს ისიც ართულებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის სამმართველომ განკარგულება გასცა, ჩვენკენ არ გამოუშვან ნავთობპროდუქტებით დატვირთული მატარებლები.

რა გველის სამომავლოდ? — არსებობს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საქართველოში უნდა შემოვიდეს 60 ათასი ტონა მაზუთი, 30 ათასი ტონა დიზელის საწვავი და 20 ათასი ტონა საავიაციო საწვავი, ე. წ. ნავთი. ხელშეკრულების თანახმად, მათი ფასები ასეთია: ერთი ტონა მაზუთისა — 14 ათასი მანეთი, დიზელის საწვავისა — 30 ათასი, ნავთისა — ასევე 30 ათასი.

მართალია, ქაღალდზე ხელშეკრულება არსებობს, მაგრამ ელცინის მითითებით რუსეთიდან მხოლოდ მაშინ წამოვა საწვავი, როცა ფულს წინასწარ გადავიხდით, — აგრძელებს საუბარს ბატონი თამაზი, — მოგეხსენებათ, ფული საქართველოს ეროვნული ბანკიდან ჯერ რუსეთის ცენტრალურ ბანკში უნდა მივიდეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდება რეგიონებში. იგივე მახაჩყალაში 550 მილიონის მისვლას თვეზე მეტი დრო სჭირდება. საქმეს ისიც ართულებს, რომ გვყავს დებიტორები. დებიტორთა სიაში პირველ ადგილზეა „საქენერგო" (700 მილიონი მანეთი), რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ტრანსპორტის სამინისტრო... ამ სიაში 300 მილიონი მანეთის დებიტორული დავალიანება სატრანსპორტო გაერთიანებებს აქვთ. ეს თანხა სულ 2 მილიარდს აჭარბებს.

საქართველოს წლიურად სჭირდება: ბენზინი — 1,2 მილიონი ტონა, დიზელის საწვავი— 700-800 ათასი ტონა, მაზუთი —3-3,5 მილიონი ტონა, სანათი ნავთი — 100 ათასი ტონა, საღუმელე საწვავი — 250 ათასი ტონა, გარდა ამისა, სხვადასხვა სახის ზეთების სოლიდური რაოდენობა.

ზემოთ ჩამოთვლილი ნავთობპროდუქტების რა რაოდენობა მიიღო რესპუბლიკამ განვლილ რვა თვეში? — ძალიან ცოტა, სადღაც 20-30 პროცენტის ფარგლებში, — მიპასუხებს თამაზ ნიკურაძე, — რუსეთიდან შემოვიდა: ნავთობი — 377 ათასი ტონა, საავტომობილო საწვავი — 63 ათასი, დიზელის საწვავი — 50 ათასი, მაზუთი — 240 ათასი. აზერბაიჯანიდან: დიზელის საწვავი — 49 ათასი ტონა, მაზუთი — 8,2 ათასი, ნავთობსა და ბენზინს კი ბოლო ორი წელია, ეს ქვეყანა აღარ გვაწვდის. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან: ბენზინი — 60 ათასი ტონა, დიზელის საწვავი — 61 ათასი, მაზუთი — 187 ათასი. აი, ჩვენი მდგომარეობის მკაცრი და სავალალო სტატისტიკა.

მთელი წინა პერიოდის განმავლობაში ნედლეულის უქონლობის გამო ან იდგა, ან 10-15 პროცენტი დატვირთვით მუშაობდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ცნობილია, საქართველოში წელიწადში რაღაც 170-180 ათას ტონა ნავთობს მოიპოვებენ. ეს ხსენებული 3-4 მილიონტონიანი სიმძლავრის ქარხნისათვის ერთი-ორი კვირის სამუშაოა. წლეულს აქ სულ რაღაც ნახევარი მილიონი ტონა ნავთობი გადაამუშავეს.

ყველაფერს ამას დაემატა ყაჩაღობა რკინიგზაზე (ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა 100 ტონა ნავთობიდან 8 ტონას-ღა ჩამოუღწევია ძლივს თბილისამდე), დივერსიები, ნავთობბაზებში გამეფებული განუკითხაობა, ქაოსი, იარაღიანთა თარეში, აგრეთვე ჩვენი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი — სპეკულაცია...

სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ — ამას, სხვათა შორის, არც ბატონი თამაზ ნიკურაძე მალავს — კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" მოუქნელ მუშაობას. ჯერ ერთი, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საქმე სულ ცოტა 4-5 უწყების ხელშია: „საქნავთობი", „საქნავთობპროდუქტი", „ტრანსნავთობი", ბათუმის ცენტრალური ნავთობგადასაცლელი ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა... ეს საწარმო—დაწესებულებები საერთოდ არ ემორჩილებიან ერთმანეთს, არა აქვთ კოორდინირებულად მუშაობის გამოცდილება.

ბატონ თენგიზ სიგუას სიტყვებით, სახელმწიფო სექტორმა ამ დარგშიც მოჭამა დრო. ბუნებრივია, საჭიროა რაღაც ახალი სტრუქტურების დანერგვა. არსებობს პოლონეთის გამოცდილება. აქ სახელმწიფო სექტორს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მოპოვება-გასაღების 30 პროცენტიღა დარჩა.

— სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო კარგა ხანია დაკავებული ვარ შემოხსენებული კონცერნის სხვადასხვა დოკუმენტური მასალის შესწავლით, — გვწერს საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გამგეობის წევრი ბატონი გიორგი ბურჯანაძე,— რის საფუძველზეც ჩამომიყალიბდა მოსაზრება კონცერნის შემდგომი რეორგანიზაციის თაობაზე: კონცერნს, როგორც ცენტრალიზებულ დაწესებულებას, ხელშეკრულებათა საფუძველზე უნდა დარჩეს ავტოგასამართი სადგურების არაუმეტეს ერთი მეოთხედისა, ასეთივე პროპორციით — ნავთობბაზები, რა თქმა უნდა, თუ შეძლებს ნავთობპროდუქტებით მათ მომარაგებას. საქალაქო და რაიონული ავტოგასამართი სადგურების ერთი ნაწილის გაერთიანებით უნდა ჩამოყალიბდეს სამხარეო სახელმწიფო ფირმები, რომელთა შემადგენლობაში შევა ავტოგასამართი სადგურების ერთი მესამედი. დარჩენილი სადგურები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან კაპიტალურ მშენებლობათა რიცხვს, უნდა გაიყიდოს აუქციონზე, დანარჩენი — გასხვისდეს წილობრივი წესით.

მანამდე კი, როგორ მოვიქცეთ, ბატონებო?

XIX-XX საუკუნეში მცხოვრები, მსოფლიოში სახელგანთქმული თაღლითის ლუის ენრიკეს „აღმოჩენას" ხომ არ მივმართოთ?..

ხსოვნა

გოგი კვესაძე

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის საავიაციო ნაწილმა და მთელმა ქართულმა ავიაციამ დიდი დანაკლისი განიცადა — 1992 წლის 5 ოქტომბერს ბიჭვინთასთან საბრძოლო დავალების შესრულების დროს გმირულად დაიღუპა გოგი კვესაძე.

იგი დაიბადა 1965 წლის 7 მარტს ქ. ხაშურში. სკოლის შემდეგ სწავლა განაგრძო როსტოვის უმაღლეს საფრენოსნო სასწავლებელში, რომლის დამთავრების მერეც მსახურობდა მფრინავად შეიარაღებულ ძალებში. 1992 წლის მარტიდან იყო საქართველოს ეროვნული გვარდიის საავიაციო ნაწილის მეთაურის მოადგილე საბრძოლო და საფრენოსნო დარგში.

წავიდა ჩვენგან კვალიფიციური მფრინავი, მცოდნე ოფიცერი, ერთგული მეგობარი, ორი მცირეწლოვანი შვილის მოსიყვარულე მამა, მეუღლე. წავიდა და დაგვიტოვა უზომო ტკივილი.

ეროვნული გვარდიის საავიაციო ნაწილის პირადი შემადგენლობა თანაგრძნობას უცხადებს გოგი კვესაძის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის საავიაციო ნაწილის პირადი შემადგენლობა.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 16 ოქტომბერს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" სასტამბო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 60484